პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 308 (10084) | ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმა შეასრულეს (1-ლი გვერდი).

ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1954 წლის გეგმა (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მშენებლების, არქიტექტორთა, სამშენი მასალების, სამშენებლო-საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დაპროექტებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

## განუხრელად ვიბრძოლოთ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკა მტკიცედ მიდის აღმავლობის გზით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა შემოქმედებით ძალებს წარმართავენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად, რათა სრულად დააკმაყოფილონ ხალხის მუდმივადმზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების მთავარი და გადამწყვეტი პირობა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფაა.

შრომის ნაყოფიერება ჩვენს ქვეყანაში შეუნელებლივ იზრდება. ამჟამად შრომის ნაყოფიერების ზრდა 1953 წლის დონესთან შედარებით უკვე შეადგენს 7 პროცენტს, ხოლო 1950 წლის დონესთან — 33 პროცენტს.

მაგრამ შრომის ნაყოფიერების გადიდების ასეთი დონეც ახლა უკვე აღარ არის საკმარისი. ჩვენს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, მრეწველობაში და ტრანსპორტზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი მკვეთრი ზრდის უზრუნველსაყოფად მოგვეპოვება უამრავი, ჯერ გამოუვლინებელი და გამოუყენებელი რეზერვები. ამ რეზერვების გამონახვა, მათი ამოქმედება ჩვენი სწრაფი წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მოსკოველთა თაოსნობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ის შეადგენს, რომ იგი რაზმავს ადამიანებს წარმოების ფარული რეზერვების გამოსავლინებლად, ხელს უწყობს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას მათი გამოყენების დაჩქარებისათვის.

მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს, ისინი წარმატებით შეუდგნენ მათს განაღდებას.

მიმდინარე წლის საწარმოო დავალება უკვე გაანაღდეს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა და მრავალმა სხვა საწარმომ. საინტერესოა თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივის გამოცდილება. ქარხნის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა მუშების, ოსტატებისა და ინჟინრების მონაწილეობით გამონახეს დამატებითი რეზერვები შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების ნოვატორთა და რაციონალიზატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, მოაწყეს მოწინავე მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შეფობა ჩამორჩენილებისადმი. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა მიაღწია სახარატო ჩარხის ცალკეული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის გამარტივებას, შემცირდა ჩარხის კვანძების რაოდენობა და შრომატევადობა. ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ აამაღლა ლითონსხმულის ხარისხი, 277 კაც-საათით შემცირა სახარხე დეტალების კომპლექტის დამზადებისა და აწყობის ციკლი, გეგმასთან შედარებით 56 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული თაოსნობით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად საჭიროა უწინარეს ყოვლისა ყურადღება მივაქციოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის რაციონალურად მოწყობის საკითხს. ჭიათურაში ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად მიაღწიეს იმას, რომ 1954 წლის გეგმა ერთი თვით ადრე გაანაღდეს.

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულების ძირითადი პირობაა იმ კონკრეტულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც საწარმოებში შეიმუშავეს მოსკოველთა პატრიოტული მოწოდების პასუხად. ამ ღონისძიებათა განხორციელებას ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა საწარმოში, ხოლო განსაკუთრებით ჩამორჩენილ საწარმოებში. ასეთები კი ჯერ კიდევ მრავლად არიან. თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა წელს განვლილ 11 თვეში ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, თუმცა აქაც გამოიმუშავეს მუშაობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებები, მაგრამ იმის გამო, რომ მათი განხორციელებისათვის სათანადო ბრძოლა ვერ მოაწყეს, ვერ დარაზმეს კოლექტივი, საწარმო კვლავ ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. იგივე უნდა ითქვას ტყვარჩელქვანახშირის პირველი და მეორე შახტების სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება დამოკიდებულია საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უნარზე წარმართონ მასების მზარდი შემოქმედებითი ინიციატივა იმ ღონისძიებათა დასანერგავად, რომლებიც შედეგად შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მოგვცემენ. ყველა საწარმოში არის შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, პროდუქციის გამოშვების განუხრელი ზრდის რეზერვები. მათი გამონახვა და ამოქმედება პირველი რიგის ამოცანაა.

ამ მხრივ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ საწარმოთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მასების შემოქმედებით აზრს ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში, მათ უნდა შთააგონონ თვითეულ მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, მოსამსახურეს, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება მოითხოვს შრომის მაღალ დისციპლინას, ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვას, ოსტატობის, კვალიფიკაციის ამაღლებას, მოწინავე გამოცდილების, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების განზოგადებას და გავრცელებას.

მხარი დავუჭიროთ ყოველივე ახალს, პროგრესულს, ამავე დროს აღმოვფხვრათ ყოველივე ჩამორჩენილი და უვარგისი, რაც აფერხებს მუშაობას, გაბედულად ვიმარჯვოთ თვითკრიტიკის და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის ბასრი იარაღი — აი რა არის საჭირო ახლა იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმატებას მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო წლის დამთავრებამდე სამი დღე დარჩა. ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების განუხრელ აღმავლობას, უზრუნველყონ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება.

## მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებმა ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

26 დეკემბერს საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებმა ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი და გვირგვინებით შეამკეს იგი. (საქდესი).

## გვირგვინით შეამკეს ა. მ. გორკის ძეგლი

26 დეკემბერს საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს ა. მ. გორკის ძეგლი, რომელიც დადგმულია სკვერში ბელორუსიის ვაგზლის მახლობლად.

გვირგვინზე წარწერილია: „საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელს ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მხურვალე სიყვარულისა და სამარადისო მადლობის გრძნობით მისი მოწაფეებისაგან—საბჭოთა მწერლების მე-2 ყრილობის დელეგატებისაგან". (საქდესი).

## ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1954 წლის გეგმა

ლენინგრადი, 24 დეკემბერი. (საქდესი). ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მრეწველობამ დღეს ვადამდე შეასრულა საერთო პროდუქციისა და პროგრამით გათვალისწინებული მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1954 წლის სახელმწიფო გეგმა.

1953 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა გაიზარდა 15 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლებით, ნოვატორთა შრომის პროგრესული მეთოდების გამოყენებით, პრაქტიკაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მუშაობაში. 1954 წლის დავალება წარმატებით შეასრულეს მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი, ხელსაწყოთმშენებელი, საინსტრუმენტო მრეწველობისა და სხვა დარგების საწარმოებმა. კარგად გაართვეს თავი დავალებებს ისეთმა ქარხნებმა, როგორიც არიან სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა, კუიბიშევის სახელობის კარბიურატორის ქარხანა, აბრაზივების ქარხანა „ილიჩი", მოლოტოვის სახელობის ფოლადსაგლინავი და მავთულ-საბაგირო ქარხანა, ფაბრიკა „სკოროხოდი" და ქალაქისა და ოლქის სხვა საწარმოები.

მიმდინარე წელს ლენინგრადის მრეწველობამ აითვისა ახალი ჩარხების, მანქანების, ხელსაწყოებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის გამოშვება. მაგალითად, კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებულია საფეიქრო კომბაინი ჯუტის ბოჭკოს სართავად. უნივერსალური შიგასახარატებელი ჩარხი შექმნეს სვერდლოვის სახელობის ქარხნის ჩარხმშენებლებმა. გამოშვებულია აგრეთვე ბევრი მოწყობილობა, რომელთა საშუალებით ხორციელდება რთული საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებში ათვისებულია სრულყოფილი ავტომატური ჩარხების, პოლიგრაფიული, ქაღალდის, კვების მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის, ახალ სახეობათა ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სახალხო მოხმარების სხვა ნაკეთობათა წარმოება.

ათვისებული და მოწესრიგებულია ტრაქტორების, ავტომანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების სათადარიგო ნაწილების წარმოება.

თერთმეტ თვეში ქალაქისა და ოლქის მრეწველობამ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ერთი მუშის გამომუშავება გაიზარდა 9 პროცენტით.

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა თაოსნობის პასუხად ქალაქისა და ოლქის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

## დამთავრდა ჩინური ფილმების ფესტივალი

მოსკოვში 26 დეკემბერს დამთავრდა ჩინური ფილმების ფესტივალი. მთელი კვირის განმავლობაში უდიდეს კინოთეატრებში, რომელთა ფასადებზე ფრიალებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები, არ შემწყდარა მაყურებელთა ნაკადი. ჩინური კინოსურათები ნახა მილიონზე მეტმა კაცმა. ბევრი აღმაღლებელი ჩანაწერი დატოვეს მაყურებლებმა შთაბეჭდილებათა წიგნებში ჩინელი ხალხის კინოხელოვნების შესახებ.

გულმხურვალედ ხვდებოდნენ მოსკოველები ფესტივალზე ჩამოსულ ჩინეთის კინომუშაკთა დელეგაციას. ჩინეთის კინოხელოვნების მოღვაწეები ესტუმრნენ მოსკოველ ჩარხმშენებლებს, მანქანათმშენებლებსა და ფეიქრებს, შეხვდნენ დედაქალაქის მაყურებლებს კინოთეატრებში „დამკვრელსა" და „ფორუმში", აგრეთვე ლენინგრადისა და კიევის მშრომელებს.

დიდი წარმატებით ჩაიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალმა ლენინგრადში, რიგაში, პეტროზავოდსკში, სტალინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. ბევრ კინოთეატრში მოეწყო გამოფენები, რომლებიც მოგვითხრობდნენ ჩინელი ხალხის წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ფესტივალის დღეებში კინოსეანსების დაწყების წინ ეწყობოდა საუბრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ, ასრულებდნენ ჩინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

# საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

25 დეკემბერს დღის სამ საათზე ა. ფადეევის თავმჯდომარეობით გაიხსნა მწერლების მეორე ყრილობის მორიგი სხდომა. ყრილობამ განიხილა და მიიღო რეზოლუცია ა. სურკოვის მოხსენების გამო „საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობა და ამოცანები" და თანამოხსენებათა გამო: კ. სიმონოვისა — „საბჭოთა მხატვრული პროზა", ს. ვურგუნისა — „საბჭოთა პოეზია", ა. კორნეიჩუკისა — „საბჭოთა დრამატურგია"; ს. გერასიმოვისა — „საბჭოთა კინოდრამატურგია", ბ. პოლევოისა — „საბჭოთა ლიტერატურა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის", ბ. რიურიკოვისა — „საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი პრობლემები" და პ. ანტოკოლსკის, მ. აუეზოვის და მ. რილსკისა — „სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის მხატვრული თარგმანები".

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მწერალთა პირველი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე განვლილი წლების მანძილზე მრავალეროვანმა საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც ვითარდებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, ჩვენი ხალხისა, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობს, მნიშვნელოვან შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია. წმიდად ასრულებს რა თავის მაღალ მოწოდებას — ემსახუროს ხალხის ინტერესებს, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით და, ერთგულად ასახავს რა ცხოვრების სიმართლეს, მაღალი იდეურობით გამსჭვალული საბჭოთა ლიტერატურა ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოებით გამდიდრდა.

რეზოლუციაში განსაზღვრულია საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანები. საბჭოთა მწერლები მოწოდებული არიან მთელი სიღრმით გვიჩვენონ ჩვენი ხალხის გმირული საქმეები და მაღალი მორალური თვისებები. მწერალთა წმიდა ვალია კიდევ უფრო მაღლა ასწიონ მშვიდობის საქმისათვის ბრძოლის დროშა, კიდევ უფრო მგზნებარედ ამხილონ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები, ყოველნაირად აამაღლონ საბჭოთა ხალხის მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთება, მისი მზადყოფნა, თუ საჭიროება მოითხოვს, გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ აგრესორს.

აღნიშნავს რა, რომ მწერალთა კავშირმა განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, როგორც შემოქმედებითმა ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს და მჭიდროდ რაზმავს ყველა საბჭოთა მწერალს, რეზოლუცია ხაზგასმით აცხადებს, რომ საბჭოთა მწერლების მთელი შემდგომი მოღვაწეობა უნდა მიმდინარეობდეს ფართო დემოკრატიზმის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება შეიცავს საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი მოღვაწეობის საბრძოლო პროგრამას.

ყრილობა ერთსულოვნად იღებს აგრეთვე რეზოლუციას ნ. ტიხონოვის მოხსენების გამო „მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა". რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე პროგრესული ლიტერატურა ვითარდებოდა მთელ მსოფლიოში, შეიქმნა მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის ძვირფასი და მახლობელი მრავალი ნაწარმოები. განუწყვეტლივ იზრდებოდა დაახლოება საბჭოთა ლიტერატურასა და უცხო ქვეყნების პროგრესულ ლიტერატურებს შორის. ჰუმანისტი მწერლების ამ მეგობრობას, მიუხედავად იმისა, თუ რა ეროვნებას ეკუთვნიან, რა რელიგიურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ შეხედულებებს იზიარებენ ისინი, აღუღაბებს კაცობრიობის კულტურის მომავლის ინტერესები, საყოველთაო მშვიდობის ინტერესები.

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა, ნათქვამია რეზოლუციაში, მხურვალედ მიესალმება სვეტებიან დარბაზში მყოფ ძვირფას სტუმრებს, რომლებიც მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, და წარმატებას უსურვებს მათი ხალხების საკეთილდღეოდ მოღვაწეობაში. ყრილობა უაღრესად გულითად სალამს უძღვნის აგრეთვე იმ მეგობრებს, რომლებიც ვერ ჩამოვიდნენ მოსკოვში, მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, აგრეთვე ყველა მწერალს, რომელიც პროგრესისა და მშვიდობის იდეალების ერთგული რჩება. ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ გაფართოვდეს და გაიფურჩქნოს ლიტერატურა, რომელიც გამოხატავს ხალხთა საუკეთესო სურვილებს, მათს მისწრაფებას მშვიდობისა და თავისუფლებისადმი.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა შემოქმედებითი გამოცდილების სისტემატური გაცვლა მწერლებს შორის, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ.

ყრილობა მიესალმება და მხარს უჭერს სხვადასხვა ქვეყნის მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ 1955 წელს მოეწყოს მწერლების მსოფლიო კონგრესი ყველა ქვეყნის ლიტერატურის იმ მოღვაწეთა უაღრესად ფართო წარმომადგენლობის საფუძველზე, რომლებსაც აერთიანებს მშვიდობისა და კულტურის პლატფორმა. ყრილობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ წლითიწლობით გაიზრდება ძალები და ავტორიტეტი პროგრესული ლიტერატურისა, რომელიც განასახიერებს ხალხების ნებას — თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი, ხალხების მისწრაფებას სიცოცხლისა და ბედნიერებისადმი, კაცობრიობის დიად შემოქმედებით შესაძლებლობათა სრული გაფურჩქვნისადმი.

ყრილობამ განიხილა და მიიღო მწერალთა კავშირის წესდება და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

შემდეგ ყრილობა შეუდგა მწერალთა კავშირის გამგეობის არჩევას 134 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიის არჩევას 29 კაცის შემადგენლობით.

თორმეტი დღის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. მისი ტრიბუნიდან სიტყვები წარმოთქვა ორასამდე კაცმა — მრავალენოვანი საბჭოთა ლიტერატურის ყველა ჟანრის წარმომადგენელმა, აგრეთვე ბევრი უცხო ქვეყნის მწერლებმა. ყრილობამ ცხადყო საბჭოთა მწერლების იდეური ერთიანობა, მათი სურვილი — მიაღწიონ ახალ მწვერვალებს მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში, მისწრაფება — განახორციელონ საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი აყვავების ფართო პროგრამა, რაც დასახულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში.

როგორც ყრილობის გახსნის დღეს, 26 დეკემბერსაც დელეგატები და სტუმრები საბოლოო სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეიკრიბნენ კრემლის დიდ სასახლეში. დღის ოთხი საათია. ყრილობის პრეზიდიუმის წევრები იკავებენ ადგილებს. მთავრობის ლოჟაში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები პ. ნ. პოსპელოვი და მ. ა. სუსლოვი.

ერთ-ერთი უხუცესი რუსი მწერალი თ. გლადკოვი ყრილობის საბოლოო სხდომას გახსნილად აცხადებს.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგების გამოსაცხადებლად სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს პ. სკოსირევს.

გამგეობის შემადგენლობაში არჩეულია 134 კაცი: **ი. აბაშიძე, ბ. აგაპოვი, ვ. აჟაევი, მ. ალიგერი, ი. ანისიმოვი, პ. ანტოკოლსკი, ს. ანტონოვი, ნ. ატაროვი, კ. ატრაზოვიჩი (კრაპივა), მ. აუეზოვი, ს. ბაბაევსკი, ნ. ბაჟანი, გ. ბაშიროვი (რაზინი), ა. ბაშკიროვი (ტალვირი), დ. ბლაგოი, პ. ბროვკა, კ. ვანშენკინი, ვ. ვასილევსკაია, ა. ვენცლოვა, ს. ვურგუნი, ბ. გალინი, რ. გამზატოვი, ს. გერასიმოვი, თ. გლადკოვი, ვ. გოლცევი, ა. გონჩარი, დ. გრანინი (გერმანი), ნ. გრიბაჩოვი, ვ. გროსმანი, მ. ჰუსეინი, ვ. დრუზინი, ვ. ერმილოვი, ა. ჟუკაუსკასი (ვიენუოლისი), ნ. ზარიანი, მ. იბრაგიმოვი, ვს. ივანოვი, ა. ისააკიანი, მ. ისაკოვსკი, ზ. ისრაილოვა, კავი ნაჯმი, ე. კაზაკევიჩი, ს. კაპუტიკიანი, ა. კარავაევა, მ. კარიმოვი, ვ. კატაევი, ა. კახარი, ბ. ქერბაბაევი, ვ. კეტლინსკაია, ლ. ქიაჩელი, ს. კირსანოვი, ვ. კოჟევნიკოვი, პ. კოზლანიუკი, ა. კორნეიჩუკი, ვ. კოჩეტოვი, ს. კუდაში, ს. კულაჩიკოვი (ელიაი), ა. კულეშოვი, კ. კურბანსახატოვი, ბ. ლავრენიოვი, გ. ლახუტი, ვ. ლაცისი, გ. ლებერეხტი, გ. ლეონიძე, ლ. ლეონოვი, ვ. ლუქსი, ა. ლუპანი, მ. ლინკოვი, ა. მალიშკო, გ. მარკოვი, ს. მარშაკი, ს. მიხალკოვი, კ. მიცკევიჩი (ი. კოლასი), ს. მუკანოვი, გ. მუსრაპოვი, გ. მუსტაფინი, ზ. ნამსარაევი, ვ. ნეკრასოვი, გ. ნიკოლაევა, ლ ნოვიჩენკო, კ. ნურმანოვი (იაშენი), ვ. ოვეჩკინი, ს. ოლეინიკი, ს. ორლოვი, ვ. პანოვა, კ. პაუსტოვსკი, ნ. პოგოდინი, ბ. პოლევოი, დ. პოლიკარპოვი, ე. პოპოვკინი, ა. პროკოფიევი, ს. რაგიმოვი, ი. რუგოევი, მ. რილსკი, ბ. რიურიკოვი, ა. საქსე, ს. სარტაკოვი, ვ. საიანოვი, ს. სერგეევ-ცენსკი, კ. სიმონოვი, ვ. სმირნოვი, ს. სმირნოვი, ი. სმოლიჩი, ა. სმული, ვ. სობკო, ლ. სობოლევი, მ. სოკოლოვი, ა. სოფრონოვი, ა. სურკოვი, ტ. სიდიკბეკოვი, ი. თარბა, ა. ტვარდოვსკი, ტ. ტილვიტისი, ნ. ტიხონოვი, ა. ტოკომბაევი, ე. თოფჩიანი, მ. ტურსუნ-ზადე, პ. ტიჩინა, ს. ულუგ-ზადე, ა. უპიტი, ა. ფადეევი, კ. ფედინი, მ. ხრაპჩენკო, მ. ცაგარაევი, ა. ჩაკოვსკი, ა. ჩერნენკო, ს. ჩიქოვანი, ნ. ჩუკოვსკი, მ. შაგინიანი, ი. შამიაკინი, მ. შოლოხოვი, ს. შჩიპაჩოვი, ი. ერენბურგი, ა. იაკობსონი, ა. იაშინი.**

სიტყვა ეძლევა პ. ტიჩინას. ყრილობის დელეგატთა სახელით იგი მიესალმა დარბაზში მყოფ უცხოეთის ლიტერატურათა წარმოგზავნილებს და მათი სახით მსოფლიოს ყველა მოწინავე მწერალს.

ამ ყრილობაზე, თქვა პ. ტიჩინამ, ჩვენ შევაჯამეთ ჩვენი ოცი წლის მუშაობის შედეგები. ეს წლები იყო საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და აყვავების წლები. ეს ორი ათეული წელი აღინიშნა იმით, რომ გაიზარდა და განვითარდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესული ლიტერატურა, ლიტერატურა საბრძოლო და შესანიშნავი თავისი სიმამაცით. დიდ ჩინეთში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ევროპისა და აზიის კაპიტალისტურ ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში პროგრესულ ლიტერატურათა ზრდით თავი იჩინა ახალი ომის საფრთხის წინაშე მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმვის დიადმა პროცესმა.

დელეგატები და სტუმრები ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან ორატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ, რა განსხვავებულიც უნდა იყოს დარბაზში მყოფ უცხოელ მწერალთა რწმენა, ამ ყრილობაზე მათ ყველას აერთიანებდა ჰუმანიზმის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დიადი იდეები. პ. ტიჩინა გულითად მადლობას უძღვნის ყრილობაზე გამოსულ უცხოელ მწერლებს.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ წინადადებას, რომ საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის სახელით მიღებულ იქნას მიმართვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ყველანი ფეხზე დგებიან.

მიმართვის ტექსტს კითხულობს **კ. ფედინი.** დარბაზში ხშირად გაისმის მქუხარე ოვაცია კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად.

— საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა, — ნათქვამია მიმართვაში, — პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი — ლიტერატურის მოღვაწეები, რომლებიც დარაზმული არიან კომუნისტური პარტიის გარშემო, მზად არიან გაამრავლონ თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი და შეასრულონ ხალხის მოთხოვნები.

მოკლე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა თ. გლადკოვმა. ჩვენ ყოველმხრივ განვიხილეთ, თქვა მან, პრობლემები ლიტერატურული შემოქმედებისა, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას და რომელიც საბჭოთა შემოქმედი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის აღზრდაზე ზემოქმედების მძლავრი ძალაა. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ყველა ჩვენგანის სახელით ვიტყვი, რომ ჩვენმა ყრილობამ ჩაიარა საბრძოლო ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, მომავალი დიადი ამოცანების გადასაწყვეტად მთელი ჩვენი ძალების გაერთიანების ნიშნით.

მწერლისათვის არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, თქვა დასასრულ თ. გლადკოვმა, ვიდრე ის, რომ ცხოვრობდეს იმის შეგნებით, რომ მსოფლიოში არის ჩვენი პარტია, რომელმაც ლიტერატურა საერთო-სახალხო საქმის ნაწილად აქცია, რომ მსოფლიოში არის ისეთი ხალხი, როგორიც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხია.

თ. გლადკოვი საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას დახურულად აცხადებს. (საქდესი).

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს მათთვის დაწესებული ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 12 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან. რესპუბლიკაში შესრულებულია აგრეთვე მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების, თესლოვანი და კურკოვანი ხილის, ხმელი ხილისა და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმა შეასრულეს

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში, შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 192.036 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 190 ათასი ჰექტარისა.

მზრალად მოხნულია 60 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მზრალად ხვნის გეგმები მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს თიანეთის, წალკის, კასპის, ახალციხის, ახმეტის, ლაგოდეხის, გარეჯნის, ბოლნისის, წითელწყაროს, ქუთაისის, წყალტუბოსა და ზესტაფონის რაიონებმა. (საქდესი).

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" 44-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მამაცაშვილი** დავით გიორგის-ძე — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ოსკინა** მარიამ ნიკოლოზის ასული — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქალაქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მაღლაფერიძე** ლუკა იოსების-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან.

**საქალაქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

**კვაჭაძე** ზინაიდა არსენის ასული — კიროვის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

**კორძაძე** ვასილ მიხეილის-ძე — 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**სოზიაშვილი** მარიამ გიორგის ასული — სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

**ალექსიძე** ირინე ალექსანდრეს ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან;

**სირაძე** ვიქტორია მოსეს ასული — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

**აბუაშვილი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციისაგან;

**ოგანეზოვა** ნადეჟდა იოსების ასული — № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ენკოიანი** ფარსადან მოსესის-ძე — „მთავარფეხსაცმლის" ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

**ანდრონიკაშვილი** ელეფთერ ლუარსაბის-ძე — საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან;

**კოსტიუჩენკო** გრიგოლ ივანეს-ძე — მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1954 წ. 28 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

### ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ, ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ, ᲡᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲓᲐᲛᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ 1954 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

### აღმოვფხვრათ დაპროექტების ნაკლოვანებანი, გავაუმჯობესოთ არქიტექტორთა მუშაობა

ამხანაგებო! ინდუსტრიალიზაციის წარმატება, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დამპროექტებელ ორგანიზაციებზე არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მუშაობაზე.

სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობების სამშენებლო სამუშაოთა ჩვენი მასშტაბის პირობებში შეუძლებელია შევურიგდეთ დაპროექტების ჩამორჩენას. მთელი ჩვენი ქვეყანა დაფარულია მშენებლობებით. მშენებლობისათვის საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს მრავალ მილიარდ მანეთს, ჩვენში უკლებლივ ყველა დაინტერესებულია იმით, რომ მშენებლობა კარგად ხორციელდებოდეს. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ სამშენებლო სამუშაოები ხშირად ჭიანურდებოდეს დამპროექტებელი ორგანიზაციების ნელი მუშაობის გამო, ვერ შევურიგდებით იმას, რომ ზოგჯერ უბრალო შენობების დაპროექტებაც კი ორ წელიწადს და მეტ ხანს გრძელდება.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ინტერესები გვიკარნახებს, რომ საჭიროა გარდავქმნათ დამპროექტებელი ორგანიზაციების მუშაობა, მათს მუშაობაში მთავარი გავხადოთ ტიპური დაპროექტება და არსებული ტიპური პროექტების გამოყენება.

ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების, კონსტრუქციების, მსხვილი ბლოკებისა და ახალი ეფექტიანი მასალების ფართოდ გამოყენება ის ახალი ღონისძიებაა მშენებლობის ტექნიკაში, რომელიც მტკიცედ მოითხოვს ხელი ავიღოთ დაპროექტების მოძველებულ წესებზე. (ტაში).

ამავე დროს დამგეგმავი და დამპროექტებელი ორგანიზაციების მრავალი მუშაკი ვერ აფასებს ტიპური დაპროექტების მნიშვნელობას.

ამას მეტყველებენ ასეთი ფაქტები. მშენებლობის 1.100 დამპროექტებელი ორგანიზაციიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ნაწილობრივ ეწევა ტიპურ დაპროექტებას მხოლოდ 152 ორგანიზაცია. 1951 წლიდან 1953 წლამდე ტიპურ დაპროექტებაზე დაიხარჯა იმ სახსრების სულ დიდი ერთი პროცენტი, რომლებიც გამოყოფილი იყო დაპროექტების სამუშაოებისათვის. 1953 წელს ტიპური პროექტებით აშენდა სამრეწველო მშენებლობის საერთო მოცულობის მხოლოდ 12 პროცენტი. მდგომარეობა წელსაც დიდად არ გაუმჯობესებულა.

მე შემთხვევა მქონია მესაუბრნა ბევრ ინჟინერთან და არქიტექტორთან დაპროექტების საკითხებზე. ისინი ყველანი თანახმა არიან, რომ ტიპური დაპროექტება მნიშვნელოვნად გაამარტივებს და გააუმჯობესებს მშენებლობას, მაგრამ პრაქტიკაში ბევრი არქიტექტორი, კონსტრუქტორი, ხოლო სამრეწველო მშენებლობაში ზოგჯერ ტექნოლოგიც, ცდილობს შექმნას მხოლოდ თავისი ინდივიდუალური პროექტები.

რატომ ხდება ასე? ერთ-ერთი მიზეზი როგორც ჩანს, ის არის, რომ ჩვენში დაშვებულია ნაკლოვანებანი არქიტექტორთა მომზადებაში. არქიტექტურის ოსტატთა მაგალითისამებრ ბევრ ახალგაზრდა არქიტექტორს, როგორც კი დაამთავრებს ინსტიტუტს და ჯერ კიდევ არა აქვს საჭირო გამოცდილება, სურს დააპროექტოს მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათის შენობა, ჩქარობს ძეგლი დაიდგას. თუ პუშკინმა ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა, ბევრ არქიტექტორს სურს უსათუოდ დაიდგას „ხელთქმნილი" ძეგლი ინდივიდუალური პროექტით აგებული შენობის სახით. **(სიცილი, ტაში).**

უნდა შევიგნოთ, რომ ინდივიდუალური პროექტებით რომ ვაშენებდეთ ყველა სამრეწველო ნაგებობას, საცხოვრებელ სახლებსა და სხვა შენობებს, ეს მნიშვნელოვნად შეანელებდა მშენებლობის ტემპს და უაღრესად გაზრდიდა მის ღირებულებას.

ბევრი დამპროექტებელი — არქიტექტორი და კონსტრუქტორი ნამდვილად შემოქმედებითად მუშაობს, თავისი მუშაობით იძლევა მრავალ ახალსა და სასარგებლოს, მაგრამ ამ საქმეში დიდი ნაკლიც არის. ზოგიერთი დამპროექტებელი პროექტში არ ითვალისწინებს იმ კონსტრუქციებს, დეტალებსა და მასალებს, რომლებსაც ამზადებენ სამშენებლო მრეწველობის ქარხნები, და დღემდე გეზს იღებს მშენებლობის ჩამორჩენილ მეთოდებზე.

ავიღოთ საბინაო მშენებლობა. რატომ არ უნდა შევარჩიოთ კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების უკეთესი პროექტები და არ გავიმეოროთ ისინი მშენებლობაში მრავალჯერ. დაე არქიტექტორებმა შეჯიბრების წესით წარმოადგინონ ასეთი სახლების თავიანთი პროექტები.

ახლა ფრიად საჭიროა შევარჩიოთ დიდბლოკებიანი საცხოვრებელი სახლების კარგი პროექტები. 1953 წელს მოსკოვის საბჭოს დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა მოამზადეს ისეთი საცხოვრებელი სახლების საპროექტო გადაწყვეტა, რომელთა კედლები აგებული იქნება დიდი პანელებითა და დიდი ბლოკებით. მაშინ ერთ-ერთ საუკეთესო გადაწყვეტად მიჩნეულ იქნა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ი. ვ. ჟოლტოვსკის წინადადება. ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული წინადადების მიხედვით შეგვეძლო შეგვედგინა პროექტი, მიგვეღო იგი როგორც ტიპური და მთელი რიგი წლების განმავლობაში გვეშენებინა დიდბლოკებიანი საცხოვრებელი სახლები. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

რატომ იყენებენ ახლა სკოლების 38 ტიპურ პროექტს? მიზანშეწონილია ეს? ეს ხდება, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ბევრი მუშაკი უყაირათოდ უდგება მშენებლობის საქმეს.

საჭიროა შეზღუდული რაოდენობით შევარჩიოთ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, მაღაზიების შენობებისა და სხვა შენობათა და ნაგებობათა ტიპური პროექტები და განვახორციელოთ მასობრივი მშენებლობა მხოლოდ ამ პროექტებით, მაგალითად, 5 წლის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ განვიხილოთ და, თუ არ იქნება უკეთესი პროექტები, კიდევ 5 წლით განვაგრძოთ ამ პროექტების გამოყენება. რა არის აქ ცუდი, ამხანაგებო?

რა უპირატესობებს იძლევა ტიპური პროექტებით მშენებლობა? ძალიან დიდს — განვიზრახეთ მშენებლობა: პროექტი უკვე არის, ცნობილია, რა ზომის ნაკვეთია საჭირო ამ მშენებლობისათვის, რა კონსტრუქციები და მასალები გვჭირდება, რამდენი მუშა უნდა გვყავდეს. ყველაფერი ნათელია. ასეთი პირობები დაგვეხმარება დიდად დავაჩქაროთ და გავაიაფოთ მშენებლობა.

ან ავიღოთ სამრეწველო შენობათა და ნაგებობათა დაპროექტების საკითხები. სამრეწველო შენობათა პროექტები, ისევე როგორც საცხოვრებელი შენობების ტიპური პროექტები, შედგება ერთნაირი სექციებისა და ერთნაირი მალებისაგან, რომლებიც მრავალჯერ მეორდება. სვეტები, რიგელები, ამწისქვეშა კოჭები და სხვა ელემენტები ყოველ მალში უცვლელი რჩება. სამრეწველო შენობათა ტიპური პროექტების შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ შენობებში მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოო და დამხმარე საამქროთა განლაგების შესაძლებლობა. სხვადასხვა დანიშნულების შენობები შეიძლება ვაშენოთ ერთი და იმავე ელემენტებისაგან. ამისათვის სამრეწველო შენობათა ტიპური პროექტების შედგენისას საჭიროა გამოვიყენოთ სვეტების უნიფიცირებული ბადე და სართულების უნიფიცირებული სიმაღლე, უნიფიცირებული დატვირთვა, უნიფიცირებული კიბის ყაფაზები, ფანჯრისა და კარის სიოები და სხვ.

ასეთი ტიპური პროექტების გამოყენება საშუალებას მოგვცემს მოვაწყოთ სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების წინასწარი მასობრივი დამზადება და ჩვეულებრივი მშენებლობის ნაცვლად შემოვიღოთ შენობების აწყობა-მონტაჟი, ამასთან მოკლე ვადებში შევასრულოთ ეს სამუშაო.

უნდა ვეცადოთ, ამხანაგებო, მივაღწიოთ ამას. ტიპური პროექტები რომ ფართოდ დავნერგოთ, საჭიროა გამოვიჩინოთ ნებისყოფა და სიმტკიცე, რადგან ამ საქმეში ჩვენ, შესაძლოა წინააღმდეგობასაც წავაწყდეთ. როგორც ჩანს, მოგვიხდება ზოგიერთებს კარგად განვუმარტოთ ამ საქმის აუცილებლობა.

მშენებლობაში ტიპური პროექტების გამოყენება უდიდეს ეფექტს მოგვცემს როგორც სახსრების ეკონომიის მხრივ, ისე მშენებლობის დაჩქარებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მხრივ. ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო, მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი და ზოგიერთი შენიშვნა არქიტექტორების მუშაობის შესახებ. უწინარეს ყოვლისა მინდა მივმართო არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტს ამხ. მორდვინოვს. მე და თქვენ, ამხ. მორდვინოვ, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში მუშაობის დროს. მე გიცნობთ როგორც კარგ ორგანიზატორს; ეს თქვენ დაგვანახვეთ ნაკადურ-ჩქაროსნულ მშენებლობაზე დიდი კალუგის ქუჩის განაშენიანების დროს. მაშინ ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობა მიმდინარეობდა პირველად და ხორციელდებოდა ამხ. მორდვინოვის მონაწილეობით. მაგრამ ომის შემდეგ ამხ. მორდვინოვი შეიცვალა. სხვა გახდა მორდვინოვი. როგორც ოპერა „მეფის საცოლეში" მღერიან: „ვერა ვცნობ გრიგოლ გრიაზნოვს!" **(სიცილი, ტაში).**

ჩვენს მშენებლობაზე ხშირად ვამჩნევთ სახსრების გაფლანგვას, და ამაში დიდი ბრალი მიუძღვის ბევრ არქიტექტორს, რომელიც ზედმეტობას უშვებს იმ შენობათა არქიტექტურულ გაფორმებაში, რომლებსაც აგებენ ინდივიდუალური პროექტებით.

ასეთი არქიტექტორები მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დამაბრკოლებლები გახდნენ. წარმატებით და სწრაფად რომ ვაშენოთ, მშენებლობა უნდა ვაწარმოოთ ტიპური პროექტებით, მაგრამ ზოგიერთ არქიტექტორს ეს, ჩანს, არ მოსწონს.

ამხ. მორდვინოვის მოხსენებამ და ზოგიერთი არქიტექტორის სიტყვამ ამ თათბირზე ცხადყო, რომ ისინი გვერდს უვლიან მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს, მათ არ აინტერესებთ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება.

არქიტექტორები, ისევე როგორც ყველა მშენებელი, მკვეთრად უნდა მობრუნდნენ მშენებლობის ეკონომიკის საკითხებისაკენ, ღრმად უნდა ჩაუკვირდნენ ამ საკითხებს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია ასაგები შენობის ღირებულება, კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულება.

არქიტექტორი, თუ მას სურს მხარდამხარ მიჰყვებოდეს ცხოვრებას, ვალდებულია იცოდეს და უნარი ჰქონდეს გამოიყენოს არა მარტო არქიტექტურული ფორმები, ორნამენტები და სხვადასხვა დეკორაციული ელემენტები, არამედ უნდა იცოდეს ახალი პროგრესული მასალები, რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები და, უწინარეს ყოვლისა, ჩინებულად ერკვეოდეს მშენებლობის ეკონომიკის საკითხებში. ამხ. მორდვინოვი და ბევრი მისი კოლეგა სწორედ იმიტომ გააკრიტიკეს თათბირზე, რომ, აპროექტებდნენ რა შენობებს, მათ დაივიწყეს მთავარი, კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულება, ისინი გაიტაცა ფასადების ისეთმა შემკობა-გალამაზებამ, რაც საჭირო არ არის, მათ დაუშვეს ბევრი ზედმეტობა.

საცხოვრებელი სახლების ფასადებზე ზოგჯერ ბევრ ისეთ მორთულობას აკეთებენ, რაც საჭირო არ არის და იმას მოწმობს, რომ ზოგიერთ არქიტექტორს გემოვნება არა აქვს. მშენებლებს ზოგჯერ უძნელდებათ განახორციელონ ეს შემკობა.

ამ საქმეში დიდი გავლენა ჰქონდა მაღალი შენობების მშენებლობას. მაღალი შენობების დაპროექტების დროს არქიტექტორებს აინტერესებდათ უმთავრესად ნაგებობათა სილუეტის შექმნა და არ ფიქრობდნენ, თუ რა დაჯდებოდა მშენებლობა და ამ შენობათა ექსპლოატაცია.

კედლების რთული რელიეფი, რომელიც მოწყობილია მხოლოდ და მხოლოდ გალამაზების მიზნით, იწვევს ზედმეტ საექსპლოატაციო ხარჯებს, რაც დაკავშირებულია სითბოს დიდ დანაკარგებთან. ამ მიზეზით, მაგალითად, სმოლენსკის მოედანზე აგებულ შენობაში ყოველწლიური გადახარჯვა სათბობზე 250 ათას მანეთს შეადგენს. ეს მარტო ამ შენობაში.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობას მაღალ შენობებში ფართობის განაწილების შესახებ.

პროცენტობით

| | შენობა წითელ კართან | შენობა სმოლენსკის მოედანზე |
|---|---|---|
| შენობის საერთო სამშენებლო ფართობი | 100 | 100 |
| ფართობი: | | |
| სამუშაო სათავსებისა | 28,1 | 30 |
| დამხმარე სათავსებისა | 23,1 | 24 |
| რომელიც უკავია სანიტარიო მოწყობილობას და მომსახურების სათავსებს | 14,9 | 11 |
| კონსტრუქციული | 33,9 | 35 |

ამ მონაცემებიდან ჩანს, თუ რა ცოტაა მაღალ შენობებში ძირითადი დანიშნულების ფართობი და რა ბევრია ეგრეთწოდებული კონსტრუქციული ფართობი. ხოლო რა არის კონსტრუქციული ფართობი? ეს არის ფართობი, რომელიც უკავია კედლებსა და კონსტრუქციებს. მაღალ შენობებში ეს ფართობი ბევრად გადიდებულია ნორმასთან შედარებით, რათა შექმნან შენობის სილუეტი. ამ ფართობს შეიძლება მხოლოდ უყურო, მაგრამ იქ ცხოვრება და მუშაობა არ შეიძლება. **(დარბაზში გამოცოცხლებაა, სიცილი, ტაში).**

შეიძლება თქვან, რომ მაღალი შენობები მაინც ლამაზია, შესაძლოა ტყუილად ვაკრიტიკებდეთ მათ, წინათ ხომ ვაქებდით. ჩვენი აზრით, უმჯობესია გავაკრიტიკოთ ნაკლოვანებანი, რადგან, თუ ახლა არ ვიზამთ ამას, მაღალი შენობებისათვის მიბაძვა გავრცელდება და უზომოდ გადიდდება ეგრეთწოდებული „კონსტრუქციული ფართობები". **(სიცილი, ტაში).**

ამხ. მორდვინოვი რომ გამოვიდა, მე შევეკითხე მას, თუ რა ჯდება სასტუმრო „უკრაინის" მაღალი შენობა, რომელიც მისი პროექტით შენდება. უნდა ითქვას, რომ ამხ. მორდვინოვი კი არ ჩამორჩება, არამედ მხარდამხარ მიჰყვება იმათ, ვინც ზედმეტობას უშვებს შენობების არქიტექტურულ გაფორმებაში. სასტუმრო „უკრაინაში" ერთი კვადრატული მეტრი ძირითადი დანიშნულების ფართობის ღირებულება შეადგენს სასტუმრო „მოსკოვის" ფართობის ღირებულების 175 პროცენტს.

განა დასაშვებია, რომ ერთსა და იმავე ქალაქ მოსკოვში სხვადასხვა ავტორების პროექტებით შესრულებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღირებულების სხვაობა 600-800 მანეთს შეადგენს საცხოვრებელი ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე?

შეუწყნარებელია აგრეთვე ის, რომ მოსკოვის ბევრი საცხოვრებელი შენობის გარეთა მოპირკეთების ღირებულება სახლების მშენებლობის საერთო ღირებულებასთან შედარებით შეადგენს 15-20 პროცენტს და 30 პროცენტსაც კი ნაცვლად ნორმალური 8-9 პროცენტისა.

ამხანაგებო! ჩვენ და არქიტექტორებს აზრთა სხვადასხვაობა არა გვაქვს ძირითად საკითხებზე — იმაზე, რომ საჭიროა შეიქმნას მოხერხებული საცხოვრებელი სახლები და ბინები. ეს კი დიდმნიშვნელოვანი საკითხია, საქმე ეხება ადამიანის ცხოვრების კეთილმოწყობას. ცოტაოთახიანი და მრავალოთახიანი ბინების რაოდენობა, მათი ზომა, სათავსების სიმაღლე — ამ საკითხებზე, როგორც წესი, აზრთა სხვადასხვაობა არ არის. მაგრამ იგი ყოველთვის წამოიჭრება, როგორც კი საქმე შენობათა ფასადების არქიტექტურულ გაფორმებაზე მიდგება. შენობის მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმების საკითხი ყველაზე რთული გამოდის.

ზოგიერთი არქიტექტორი გატაცებულია იმით, რომ შენობებს გაუკეთოს შპილები, და ამიტომ ეს შენობები ეკლესიებს ემსგავსებიან. თქვენ მოგწონთ ეკლესიის სილუეტი? მე არ მინდა ვიდავო გემოვნებაზე, მაგრამ საცხოვრებელი სახლებისათვის შენობის ასეთი სახე საჭირო არ არის. არ შეიძლება, რომ თანამედროვე საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული გაფორმებით ეკლესიას ან მუზეუმს დავამსგავსოთ. ამით არავითარი მოხერხებულობა არ ეძლევა მობინადრეებს და მხოლოდ რთულდება შენობის ექსპლოატაცია და ძვირდება ექსპლოატაციის ღირებულება. მაგრამ ზოგიერთი არქიტექტორი ანგარიშს არ უწევს ამას.

მაგალითად არქიტექტორმა ზახაროვმა, წარმოადგინა საპროექტო მოსაზრებანი მოსკოვში დიდი ტულის ქუჩაზე ისეთი სახლების აგების შესახებ, რომლებიც თავიანთი მოხაზულობით ცოტა რამით თუ განსხვავდებიან ეკლესიისაგან. მას სთხოვეს აეხსნა, რა მოტივებმა გამოიწვია ეს. მან უპასუხა: „ჩვენ ჩვენს პროექტებს ვუხამებთ მაღალ შენობებს, საჭიროა ვუჩვენოთ შენობების სილუეტი". აი თურმე რა პრობლემებია ყველაზე უფრო საზრუნავი ამხ. ზახაროვისათვის. მას ლამაზი სილუეტები ესაჭიროება, ადამიანებს კი ბინები სჭირდებათ. მათ ის კი არ უნდათ, რომ სილუეტებით დატკბნენ, არამედ ის, რომ სახლებში იცხოვრონ! **(ტაში).** ლუსინოვის ქუჩაზე ასაგები სახლების პროექტებში არქიტექტორმა გადაწყვიტა შენობების კუთხეებში, მე-8 სართულიდან დაწყებული და ზევით, ქანდაკებანი დაედგა. ზედა სართულში დაპროექტებული იყო კუთხეების ჭრილები და ამ დაცერებულ კუთხეებში კეთდებოდა ფანჯრები, ხოლო ფანჯრის გარეთა რაფებზე ნავარაუდევი იყო დაედგათ ქანდაკებანი. საცხოვრებელი ხუთკედლიანი ოთახი, რომელსაც კუთხის ფანჯარა აქვს, მოხერხებული არ არის, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ ამ ოთახის მცხოვრებლებმა მთელი თავიანთი სიცოცხლე ქანდაკების ზურგს უნდა უყურონ. გასაგებია, რომ ასეთ ოთახში ცხოვრება არცთუ იმდენად სასიამოვნოა. კიდევ კარგი, რომ ასეთი სახლები არ ააშენეს, არ განახორციელებინეს ამხ. ზახაროვს ასეთი მხატვრობა.

ყოველივე ამას შენობათა არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებას უწოდებენ! არა, ამხანაგებო, ეს დამახინჯებაა არქიტექტურაში, რაც იწვევს მასალის გაფუჭებას და სახსრების ზედმეტად ხარჯვას. მოსკოვის ორგანიზაციებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ გაათავისუფლეს ამხ. ზახაროვი არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელობიდან. მაგრამ საქმის სასარგებლოდ ეს გაცილებით უფრო ადრე უნდა ექნათ.

მოსკოვში მიმდინარე წლის დამდეგს ამუშავდა და პროდუქციას უშვებს რკინაბეტონის ნაწარმის ორი დიდი ქარხანა, მაშინ როცა ჩვენ გვაქვს კარკას-პანელიანი შენობის მხოლოდ ერთი დამტკიცებული პროექტი. ვინ არის დამნაშავე დაპროექტების დაყოვნებაში? დამნაშავეა ბევრი არქიტექტორი და უწინარეს ყოვლისა ამხ. ვლასოვი — ქალაქ მოსკოვის მთავარი არქიტექტორი. იგი კარგი არქიტექტორია, მაგრამ ზოგჯერ სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენს.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ კარგ მუშაობას დაპროექტების და განსაკუთრებით ტიპური დაპროექტების დარგში. უნდა მოვიფიქროთ და, შესაძლოა, გადავსინჯოთ დამპროექტებელთა შრომის ანაზღაურების მიღებული წესი. უნდა შემოვიღოთ ანაზღაურების ისეთი წესი, რომელიც უკეთ წაახალისებს მათს მუშაობას. **(ტაში).**

სერიოზული ნაკლოვანებანი დამპროექტებელი ორგანიზაციებისა და ცალკეული არქიტექტორების მუშაობაში მეტწილად აიხსნება არასწორი მითითებებით, რომლებსაც იძლევიან არქიტექტურის აკადემია და მთელი რიგი წამყვანი არქიტექტორები. აი როგორ მითითებებს იძლეოდნენ უკანასკნელ დრომდე:

არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტი ა. გ. მორდვინოვი სტატიაში „საბჭოთა არქიტექტურის მხატვრული პრობლემები", რომელიც გამოქვეყნებულია კრებულში „არქიტექტურა" № 1, 1945 წელი, წერს:

„არქიტექტურა ემსახურება ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას... მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნაწარმოებთა შექმნა მოითხოვს ისეთ სამშენებლო მოცულობებს, რომლებიც განპირობებული არ არიან პირდაპირი პრაქტიკული საჭიროებით (პორტიკები, მონუმენტური დარბაზები, კოშკები)... თითქმის არც ერთ ქალაქს, თუ მას სურს ლამაზი იყოს, არ შეუძლია გვერდი აუაროს მაღალ კომპოზიციებს".

პროფესორი ა. ვ. ბუნინი სტატიაში „ომისშემდგომ აღდგენით მშენებლობაში ქალაქთმშენებლობის მემკვიდრეობის გამოყენების საკითხისათვის", რომელიც გამოქვეყნებულია იმავე კრებულში, ამტკიცებს:

„ქალაქის დასამშვენებლად საჭიროა უტილიტარულად გაუმართლებელი მთელი შენობები, კერძოდ გუმბათიანი შენობები და კოშკები... საბჭოთა ქალაქი ვერტიკალების კრიზისს განიცდის... ცენტრები მათი საზოგადოებრივი შენობებით, კოშკებითა და გუმბათებით უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, ისე რომ არ მოხდეს რაიმე სტანდარტიზაცია".

ასეთი მოსაზრებანი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

არქიტექტურის ხელმძღვანელი მოღვაწეები მუდამ ხაზგასმით აღნიშნავენ მხატვრულ მხარეს და ცოტას ლაპარაკობენ ბინებისა და სხვა ნაგებობათა ეკონომიურობასა და მოხერხებულობაზე. გასაგებია, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ მშენებლობის საჭირბოროტო ამოცანებისაგან არქიტექტურის ასეთი მოწყვეტის წინააღმდეგ.

ზოგიერთი არქიტექტორი ცდილობს გაამართლოს თავისი არასწორი დებულება და ზედმეტობა პროექტებში იმის დამოწმებით, რომ საჭიროა ბრძოლა კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ. მაგრამ კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ალმით ურიგდებიან სახელმწიფო სახსრების განიავებას.

რა არის კონსტრუქტივიზმი? აი როგორ განსაზღვრავს, კერძოდ, ამ მიმართულებას დიდი საბჭოთა ენციკლოპედია: „კონსტრუქტივიზმი... მხატვრულ შემოქმედებას ცვლის „კონსტრუქციების გამოვლინებით" (აქედან — სახელწოდება კონსტრუქტივიზმი), შიშველი ტექნიციზმით. კონსტრუქტივისტები მოითხოვდნენ რა ფუნქციონალურ, კონსტრუქციულ „მიზანშეწონილებას", „რაციონალურობას", სინამდვილეში მიდიოდნენ ესთეტურ ტკბობამდე შინაარსისაგან მოწყვეტილი ფორმით... ამის შედეგი იყო ის ანტიმხატვრული, უგემური „კოლოფის სტილი", რომელიც დამახასიათებელია უახლესი ბურჟუაზიული არქიტექტურისათვის... კონსტრუქტივიზმის გამოვლინებანი მკვეთრად გაკრიტიკებულია მთელ რიგ პარტიულ მითითებებსა და დადგენილებებში..." (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, 1953 წელი, ტომი 22, გვ. 437).

კონსტრუქტივიზმის ეს განსაზღვრა, რა თქმა უნდა, ამომწურავი არ არის. მაგრამ კონსტრუქტივიზმის მოყვანილი დახასიათებაც ცხადყოფს ზოგიერთი არქიტექტორის უწწეობას, რომლებიც თავს აფარებენ რა ფრაზებს კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, საქმით ფასადებისათვის, ესე იგი ფორმისათვის, თმობენ შენობის შინაგანი დაგეგმვისა და ექსპლოატაციის მოხერხებულობას და ამით უგულებელყოფენ ადამიანთა საარსებო საჭიროებებს.

ცალკეული არქიტექტორები, რომლებიც ლაპარაკობენ კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე, მეორე უკიდურესობაშივარდებიან — შენობების ფასადს ამკობენ ზედმეტი, ხოლო ზოგჯერ ისეთი დეკორაციული ელემენტებით, რომლებიც საჭირო არ არის და იწვევს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას.

შენობებს, რომლებსაც არა აქვთ კოშკები, დანაშენები, სვეტებიანი პორტიკები ან რომელთა ფასადები შემკული არ არის ბუტაფორიული საშუალებებით, კოლოფებს უწოდებენ და განსაზღვრავენ როგორც კონსტრუქტივიზმის რეციდივს. ასეთ არქიტექტორებს შეიძლება ვუწოდოთ გადაბრუნებული კონსტრუქტივისტები, რადგან თვითონ ისინი მიდიან ესთეტურ ტკბობამდე შინაარსისაგან მოწყვეტილი ფორმით.

აღარ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ბევრი არქიტექტორი, თავს აფარებს რა ფრაზებს კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და არქიტექტურაში სოციალისტური რეალიზმის შესახებ, უყაირათოდ ხარჯავს სახალხო სახსრებს.

კონსტრუქტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს გონივრული საშუალებებით. არ შეიძლება გაგვიტაცოს არქიტექტურულმა დეკორაციებმა, ესთეტურმა შემკობა-გალამაზებამ, იმან, რომ შენობებს გავუკეთოთ სრულიად გაუმართლებელი კოშკები ან დავდგათ ქანდაკებანი. ჩვენ სილამაზის წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ ზედმეტობის წინააღმდეგი ვართ. შენობების ფასადებს უნდა ჰქონდეთ ლამაზი და მიმზიდველი სახე მთელი ნაგებობის კარგი პროპორციების, კარ-ფანჯრის სიოების კარგი პროპორციის, აივნების უნარიანი განლაგების, მოსაპირკეთებელი მასალის ფაქტურისა და ფერის სწორად გამოყენების, დიდბლოკიან და დიდპანელიან მშენებლობაში კედლის დეტალებისა და კონსტრუქციების სწორი გამოვლინების საშუალებით.

თვითეული პროექტი უნდა დგებოდეს მშენებლობაზე სახსრების ეკონომიური ხარჯვის გათვალისწინებით. შენობები უნდა იყოს მყვიდრი და ექსპლოატაციაში ეკონომიური. საჭიროა არქიტექტორებმა ისწავლონ სახალხო ფულის ანგარიში. ეს საკითხი ძალიან სერიოზულია. ჩემი გამოსვლით მე ვაღიზიანებ არქიტექტორთა მტკივნეულ ჭრილობას. მაგრამ მე სწორედ ამიტომ ავიღე სიტყვა, სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. მეგობრობდეთ ერთმანეთს, უღიმოდეთ და ამასთან მფლანგველურად ხარჯავდეთ სახალხო სახსრებს — ეს ცუდი, უპრინციპო მეგობრობაა. მეგობრობა საჭიროა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც ამრავლებენ სოციალისტური სახელმწიფოს ძალებს. მხარი უნდა დავუჭიროთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხალხის ინტერესებისათვის მუშაობენ.

ამხანაგებო! უნდა ითქვას, რომ არქიტექტორთა შორის, აგრეთვე არქიტექტურის აკადემიაში, არის ბევრი ამხანაგი, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ ცალკეული არქიტექტორების არასწორი გეზის წინააღმდეგ, მაგრამ მათს აზრს ანგარიშს არ უწევდნენ. თქვენ, ამხ. მორდვინოვ, და თქვენი მახლობლები ახშობდით ხმებს, რომლებიც გაისმოდა არქიტექტურაში შემკობა-გალამაზებისა და ბუტაფორიის წინააღმდეგ. **(ტაში).**

ამ თათბირზე დიდი ინტერესით მოისმინეს არქიტექტორ ამხ. გრადოვის შინაარსიანი სიტყვა. ილაპარაკეს რა საბჭოთა არქიტექტურის ამოცანებზე, ამხ. გრადოვმა და ზოგიერთმა სხვა ამხანაგმა სრულიად სწორად აღნიშნეს, რომ საჭიროა დავძლიოთ ფორმალისტური დამახინჯებანი და უძრაობა არქიტექტურაში. ისინი ამბობდნენ, რომ საჭიროა კრიტიკულად გამოვიყენოთ კლასიკური მემკვიდრეობა, რომ არქიტექტურა უნდა დაექვემდებაროს ჩვენი საზოგადოების საარსებო საჭიროებებს, ხოლო ამისათვის საჭიროა უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ არქიტექტურა თანამედროვე ტექნიკასა და მშენებლობას ყველა რგოლში, ფართოდ გავაჩაღოთ არქიტექტურაში შემოქმედებითი ინიციატივა, ნოვატორობა და აღმოვფხვრათ მონოპოლიზმისა და კრიტიკის ჩახშობის ყოველგვარი გამოვლინება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ დასკვნებსა და წინადადებებს.

ამ თათბირისათვის მზადების პერიოდში ამხ. გრადოვმა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა წერილით, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი კრიტიკული შენიშვნები არქიტექტურის საკითხებზე. როგორ გამოეხმაურა ამხ. მორდვინოვი ამ კრიტიკას? მან ყოველი ღონე იხმარა, რომ ამხ. გრადოვისათვის არ მიეცა ამ თათბირზე გამოსვლის შესაძლებლობა. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ არქიტექტურის აკადემიაში შექმნილი არ არის ვითარება შემოქმედების საკითხებზე აზრების თავისუფალი გაზიარებისათვის, კრიტიკის გაჩაღებისათვის.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს არქიტექტურის აკადემიის მუშაობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტიპური დაპროექტების საქმის მდგომარეობას, ქალაქების დაგეგმვასა და განაშენიანებას.

დაპროექტებისადმი ზოგიერთი არქიტექტორის არასწორი მიდგომა და ზედმეტობა შენობათა არქიტექტურულ გაფორმებაში, სამწუხაროდ, საკმაოდ ფართოდ გავრცელდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გიამბოთ იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც ჩვენ შეგვექმნა ქალაქ სვერდლოვსკის

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

---

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „კომუნისტი" № 307.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გაგრძელება

დათვალიერების შემდეგ. სვერდლოვსკი დიდი და კარგი ქალაქია. ამ ქალაქში ხედავ საბჭოთა კავშირის ძლიერებას. იქ არის დიდი ქარხნები, რომლებიც კარგ მანქანებს უშვებენ. მაგრამ ამ დიდი ცენტრის საქალაქო მშენებლობასა და კეთილმოწყობაში ბევრი რამ არის მოუგვარებელი. მაგალითად, საქალაქო აღმასკომის შენობის რეკონსტრუქციისას მთავარ ფასადზე ააგეს შპილიანი კოშკი. მარტო ამ შპილის აშენება დაჯდა თითქმის 2 მილიონი მანეთი, ხოლო მთელი შენობის რეკონსტრუქცია — 9 მილიონი მანეთი. ალბათ ამ ხარჯის დიდი ნაწილი გამოწვეული იყო იმ სამუშაოებით, რომლებიც დაკავშირებულია ფასადის შეგუებით შენობის მაღალ ნაწილთან და კოშკის აგებით. მარტო იმ სახსრებით, რაც შპილის მოსაწყობად დაიხარჯა, შეიძლებოდა აშენებულიყო 2 სკოლა თვითეული 400 მოსწავლისათვის.

სვერდლოვსკის ერთ-ერთ ქუჩაზეა დიდი ხუთსართულიანი შენობა.

— ეს წისქვილია, — აგვიხსნა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კუტირევმა და იქვე დასძინა: — მაგრამ ჩვენ გვსურს ავაშენოთ ახალი წისქვილი, ეს შენობა კი სასტუმროდ გადავაკეთოთ.

— როგორ თუ გადააკეთოთ? — ვეკითხებით მას.

— დიახ, — ადასტურებს ამხ. კუტირევი, — ვფიქრობთ წისქვილი სასტუმროდ გადავაკეთოთ.

— რად უნდა გადააკეთოთ წისქვილი სასტუმროდ, — ვეუბნებით ჩვენ, — უმჯობესი არ არის ახალი ააშენოთ?

თვითონ განსაჯეთ. განა გონივრულია, რომ ის შენობა, რომელსაც წისქვილად იყენებენ, გადავაკეთოთ სასტუმროდ, ხოლო წისქვილი ხელახლა ავაშენოთ? (დარბაზში სიცილი. ტაში). ამ ფულით ხომ შეიძლება კარგი ახალი სასტუმრო ავაგოთ, და ეს უკეთესიც და უფრო იაფიც იქნება. სად არის საღი აზრი, სად არის სამეურნეო მიზანშეწონილობა?

განვაგრძობთ გზას ქ. სვერდლოვსკში. საოლქო კომიტეტის მდივანი ამბობს:

— აი ქვაფენილი, ჩვენ ვფიქრობთ ესეც გადავაკეთოთ.

— რა გსურთ გააკეთოთ?

— მოვაასფალტოთ.

ქვაფენილი კი გრანიტის ძელაკებისაა. ეს ქვაფენილი ჩვენს შვილიშვილებს ეყოფათ, მაშინ როცა ასფალტისა 10 წელზე მეტს ვერ გაძლებს. საკითხავია, რატომ უნდა გავაფუჭოთ გრანიტის ქვაფენილი?

როცა ჩვენ პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას მივუახლოვდით, საოლქო კომიტეტის მდივანმა განაცხადა:

— აი ჩვენი საოლქო კომიტეტის შენობა, ვფიქრობთ მის რეკონსტრუქციას.

— რა რეკონსტრუქციას, რისთვის?

— ფასადი არ მოგვწონს, ეს ყველაფერი უნდა გადავაკეთოთ.

რას ნიშნავს გადავაკეთოთ? რა დაჯდება 6-სართულიანი შენობის გადაკეთება? როგორც ჩანს, უფრო იაფი დაჯდება ახალი შენობის აგება, ვიდრე ძველის რეკონსტრუქცია.

როცა ისმენ ასეთ წინადადებებს, გაგონდება უკვდავი შჩედრინი, გუბერნატორს რომ დასცინოდა, რომელიც ამსხვრევდა, ანგრევდა ყველაფერს, რაც მისმა წინამორბედმა ააშენა. როგორც ჩანს, ჩვენში ზოგან კიდევ დარჩა ისეთი ჩვევები, რომლებსაც დასცინოდა დიდი რუსი სატირიკოსი შჩედრინი! (ტაში).

გადაკეთების ეს მავნე მისწრაფება ძვირად უჯდება სახელმწიფოს. ასე შეუძლიათ მოიქცნენ მხოლოდ ის მუშაკები, რომლებმაც დაკარგეს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. მე და ამხანაგებმა ბულგანინმა და მიქოიანმა გავაფრთხილეთ სვერდლოვსკის ხელმძღვანელები, რომ თუ კვლავაც ასე მოიქცევიან და განაგრძობენ უსარგებლო გადაკეთებას, ისინი დაისჯებიან.

ბევრი ზედმეტობაა სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა მშენებლობის დროს. 1953 წელს სოჭში მთავრდებოდა გემთსაშენი მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმის მშენებლობა. ამ სამინისტროს მუშაკებსა და სოჭის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ფასადი მეტად ღარიბული ეჩვენათ. წინადადება მისცეს გადაეკეთებინათ უკვე დამთავრებული ფასადი. ამ მიზნისათვის გამოჰყვეს 800 ათასი მანეთი. ამ ფულით კი შეიძლებოდა აეგოთ სახლი 20 ოროთახიანი ბინით.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზედმეტობა და სხვადასხვაგვარი ძვირადღირებული გადაკეთება ადგილებზე ბევრ შემთხვევაში ხორციელდება არქიტექტორების რჩევით. არსებითად რომ გავერკვეთ საქმეში, სწორედ ასეთი იყო რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს მუშაობის ხაზიც. ამ სამმართველომ 1953 წელს მოაწყო კონკურსი საუკეთესო შენობებზე, რომლებიც აშენდა რუსეთის ფედერაციის ქალაქებსა და მუშათა დაბებში. — რა ნაგებობანი აღინიშნა პრემიებით?

მოსკოვის ოლქის დაბა ვატუტენკში აგებულია საბავშვო ბაღის შენობა. მისი ზომის გადაჭარბებით გადიდების გამო ერთ ადგილზე მოდის შენობის 91,9 კუბური მეტრი მოცულობა, ნაცვლად ნორმით დადგენილი 24 კუბური მეტრისა. შენობა გადატვირთულია ნაძერწი მორთულობით. გარეგან არქიტექტურას „სასახლის" ხასიათი აქვს. ამ შენობაზე დახარჯული სახსრებით შეიძლებოდა სამი შენობა აგვეგო საბავშვო ბაღებისათვის. ამავე დროს პროექტის ავტორს მიენიჭა პირველი პრემია. რისთვის? სახსრების გაფლანგვისათვის. (სიცილი).

ქალაქ უფაში ტიპური პროექტით აგებულია კინოთეატრი. შენობის ფასადი ხელახლა დააპროექტეს და გამოიყენეს მრავალი ძვირადღირებული მორთულობა. მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ღირებულება უდრის შენობის საერთო ღირებულების 30 პროცენტზე მეტს. ამ პროექტის ავტორსაც პირველი პრემია მიანიჭეს.

ქალაქ იალტის № 66 სანატორიუმის ქირურგიული კორპუსის დაგეგმვის გადაწყვეტაში დაშვებულია ღირებულების ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდება. ამ პროექტის ავტორსაც მიენიჭა ფულადი პრემია.

ყველა ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველო სწორ გზას არ აძლევს არქიტექტორებს მათს მუშაობაში, მას არ აინტერესებს მშენებლობის ეკონომიკა.

თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ, ვინ იყო ამ კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე? ამ მოვალეობას ასრულებდა ამხ. ჩერნიშევი — საბჭოთა არქიტექტორების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც წინათ მუშაობდა ქ. მოსკოვის მთავარ არქიტექტორად. სამწუხაროა, რომ ასეთმა გამოცდილმა არქიტექტორმა საშუალება მისცა სხვებს აეცდინათ იგი სწორი გზიდან. სასარგებლოც კი იქნებოდა გაგვეუქმებინა ამ კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებანი, როგორც არასწორი. (ტაში).

ამ თათბირის შემდეგ საჭირო იქნება ქალაქებსა და სამინისტროებში მოვაწყოთ არქიტექტორთა, კონსტრუქტორთა და მშენებელ მუშაკთა თათბირები, რათა ადამიანებმა „გულახდილად" მოილაპარაკონ და საერთო ენა გამონახონ. დარწმუნებული ვარ, რომ არქიტექტორთა უმრავლესობა სწორად გაიგებს ჩვენს მოთხოვნებს. (ტაში). ხოლო ვინც ვერ გაიგებს, მას უნდა გავუსწოროთ.

აქ გამოსულმა ამხ. ვიშნევსკიმ შემოიტანა წინადადება — დავამტკიცოთ გასაცემი ფასები, დავაწესოთ სახლების მშენებლობის ღირებულება რაიონებისა და ქალაქების მიხედვით, რისთვისაც ვიხელმძღვანელოთ საცხოვრებელი ფართობის კვადრატული მეტრის ღირებულებით. შესაძლოა, რომ ეს აღმოფხვრის ზედმეტობას პროექტებში. ვფიქრობ, რომ ასეთი წინადადება სწორია.

ბოლო უნდა მოვუღოთ სერიოზულ ნაკლოვანებებს ქალაქების დაპროექტებასა და დაგეგმვაში. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. არქიტექტორთა მუშაობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ისინი ბევრ შემთხვევაში ვერ გრძნობდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონტროლსა და დახმარებას. საჭიროა გავადიდოთ ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა ქალაქებისა და დაბების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმისათვის.

ამ ბოლო დრომდე საბჭოთა კავშირის ქალაქების დაგეგმვის პროექტები დასამტკიცებლად ეგზავნებოდა საკავშირო მთავრობას. ასეთ გარემოებაში პროექტების დამტკიცება მრავალი წლით ჭიანურდებოდა. კერძოდ, შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ომის შემდეგ კიევში შეადგინეს ქალაქის ცენტრის გაშენების პროექტი. ეს პროექტი მრავალჯერ ატარეს კიევიდან მოსკოვს და უკან. კრეშჩატიკი თითქმის უკვე გაშენებულია, ხოლო პროექტი ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა. და ეს ერთეული შემთხვევა როდია. ჩვენ ვფიქრობთ, მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გადაისინჯოს ქალაქების გაშენების პროექტების დამტკიცების წესი და უფრო მეტი უფლება მიეცეთ ადგილობრივ ორგანოებს. (ტაში). უნდა გავითვალისწინოთ, რომ კადრები ადგილებზე გაიზარდნენ, საქმის სწორი ორგანიზაციის დროს მათ შეუძლიათ კვალიფიციურად გადაწყვიტონ ეს საკითხები. საქმისადმი ასეთი მიდგომა გააძლიერებს ადგილობრივ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას და განავითარებს მათს ინიციატივას.

მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია მოვთხოვოთ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გააძლიეროს კონტროლი ამ მუშაობის წარმოებისადმი ადგილებზე, რათა არ გვექნეს ისეთი უწესრიგობანი, რაც ქალაქ სვერდლოვსკში ვნახეთ.

თუ ჩვენ ჯეროვნად მოვაწყობთ ტიპური დაპროექტების საქმეს, გადაჭრით გავაუმჯობესებთ არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მუშაობას, ყურადღებას მივაპყრობთ ეკონომიკის საკითხებს, გავადიდებთ ჩვენი ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობას, უფრო მეტად განვავითარებთ მათს ინიციატივას, მაშინ უეჭველად მივაღწევთ ახალ დიდ წარმატებებს მშენებლობის საქმეში, მისი ღირებულების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

## ხარისხის გაუმჯობესება მშენებელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

ამხანაგებო! განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. ჩვენ უნდა ვაშენოთ არა მარტო სწრაფად, არამედ აუცილებლად კარგადაც, მკვიდრად, ვუფრთხილდებოდეთ ჩვენი სამშენებლო მარკის ღირსებას. შენობები საცხოვრებლად და საექსპლოატაციოდ მოხერხებული უნდა იყოს. ცუდად აგებული შენობები მოკლე ვადის შემდეგ შეკეთებას მოითხოვენ, რაც იწვევს სახსრების დამატებით ხარჯვის აუცილებლობას. ეს შეეხება ყველა სახეობის მშენებლობას.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხის შესახებ. კარგად ვაკეთებთ თუ არა კედლებსა და გადახურვებს შენობებში? მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად. საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სასტუმროებისა და სხვადასხვა შენობათა კედლები და გადახურვები ისე კეთდება, რომ ისინი ასეულ წლობით გაძლებენ. ეს ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც მშენებლობაში ფართოდ იყენებენ რკინაბეტონს. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შენობათა მოპირკეთება ხშირად ცუდად წარმოებს. უფრო მეტიც, ბევრი მუშაკი ურიგდება აშკარად არაკეთილსინდისიერ, საძაგელ მუშაობას შენობათა მოპირკეთების საქმეში. ამის შესახებ ბევრმა ამხანაგმა სავსებით სამართლიანად ილაპარაკა თათბირზე.

ამას წინათ ჩვენ ამხანაგ ბულგანინთან და მიქოიანთან ერთად მოგვიხდა გვენახა შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ურალის ბევრი ქალაქი. ჩვენ კარგად მიგვიღეს. ეს გასაგებია: სტუმრები ხომ მომთხოვნელები არიან, შეუძლიათ გააკრიტიკონ. და უფრო მეტიც, ვიდრე გააკრიტიკონ. ამიტომ ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო კარგად მოვეწყობილიყავით. (სიცილი, ტაში). ქალაქ სვერდლოვსკში სასტუმროში ვცხოვრობდით. სასტუმრო გაკეთებულია კარგად, მკვიდრად. უნდა ვიფიქროთ, რომ ცუდ ნომრებში როდი მოგვათავსეს. (სიცილი). და აი ამ სასტუმროში ჩვენ ვნახეთ, რომ სანიტარული კვანძები გაკეთებულია ძალიან ცუდად, მოპირკეთების სამუშაოთა ხარისხი მაღალი არ არის. მოვიწვიეთ სასტუმროს დირექტორი და ქალაქის ხელმძღვანელები და ვეუბნებით მათ: შეხედეთ, რა ცუდი ნამუშევარია!

როგორც ჩანს, მშენებლობის დროს საჭირო მომთხოვნელობა არ ყოფილა. ფილა ცუდი ხარისხისაა და დაუდევრად არის დაწყობილი. სანიტარული კვანძების მილები ჟანგით არის დაფარული, ალბათ ჩვენი ჩამოსვლის წინ ისინი საჩქაროდ შეღებეს რაღაც ნაცრისფერი საღებავით და მილებთან ერთად შეღებეს კედლებიც. ამ მილების შეერთება გაკეთებულია ძალიან ცუდად, და მე, როგორც ყოფილი ზეინკალი, უკიდურესად აღმაშფოთა ამან: რევოლუციამდელ დროსაც კი შახტში მილების შეერთებას ვაკეთებდით უფრო სუფთად და უკეთესად, ვიდრე ეს გაკეთებული იყო სვერდლოვსკის სასტუმროში.

სახალინზე ყოფნისას ჩვენ ვცხოვრობდით სამხედრო პირთათვის აგებულ სასტუმროში. ამ სასტუმროს შენობა კარგია. მაგრამ საბაზანოების და სანიტარული კვანძების მოპირკეთება შესრულებულია აგრეთვე არაკეთილხარისხოვნად. მოსაპირკეთებელი ფილა ცუდი ხარისხისაა და ძალიან დაუდევრად არის დაწყობილი.

ეს ფაქტები, ხოლო ასეთები ბევრია, უნდა ვუამბოთ მშენებლებს და მოვთხოვოთ მათ გადაჭრით გააუმჯობესონ სამუშაოთა ხარისხი. სამშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. იუდინმა და სამშენ მასალათა მრეწველობის სხვა მუშაკებმა ყოყოჩობა არ უნდა დაიწყონ, მათ უნდა ისწავლონ ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრებისაგან, რომლებიც კარგ სამშენ მასალებსა და დეტალებს აკეთებენ. (ტაში). ამ საქმეში შეიძლება ვისწავლოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისგანაც, სადაც კარგ მოსაპირკეთებელ ფილას აკეთებენ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ამხანაგი ნაკლებად სწავლობს სხვებისაგან და, რაც მთავარია, არა სურს ისწავლოს. (ტაში).

საექსპლოატაციოდ გადასაცემ საცხოვრებელ სახლებში ხშირად ბევრ რამეს მოუთავებელს ტოვებენ და ამიტომ მცხოვრებნი სიძნელეებს განიცდიან.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სადურგლო ნაკეთობის ხარისხის გაუმჯობესებას. ფანჯრის ჩარჩოები და კარები ბევრ სახლში ცუდად არის გაკეთებული. ხოლო თქვენ იცით, რომ როცა კაცი სახლში შედის, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს კარს — როგორ იხურება, ხომ არ არის ჭუჭრუტანები, როგორ არის შეღებილი, იგი აგრეთვე აკვირდება, როგორ არის გაკეთებული ფანჯრები, როგორია კავეული. მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მტკიცედ და განუწყვეტლივ. საცხოვრებელ სახლებში კარგად უნდა მოვაპირკეთოთ აგრეთვე კიბის ყაფაზები.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სახლებში ბგერაიზოლაციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით უნდა ვიმუშაოთ ბინებს შორის ბგერაიზოლაციაზე, იგი უნაკლო უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ბგერაიზოლაციის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ბინებს შორის ტიხრები და სართულებს შორის გადახურვები.

ბევრი ნაკლია იატაკების მოწყობის სამუშაოებში. პარკეტის იატაკებს აგებენ მასტიკაზე, მაგრამ ხშირად გამოსაყენებელი მასტიკის ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის, და იგი პარკეტქვეშიდან ამოდის პარკეტს ცუდად ფხეკენ. უნდა გაუმჯობესდეს პარკეტის იატაკების მოწყობის სამუშაოთა ხარისხი.

ფართოდ უნდა განვითარდეს ლინოლეუმის დამზადება. ლინოლეუმით დაგებული იატაკი არ ჩამოუვარდება პარკეტისას, იგი უფრო ჰიგიენური და ლამაზია. ასეთი იატაკის მოვლა უფრო მარტივია, ვიდრე პარკეტისა. ყველამ იცის, რომ პარკეტის იატაკი უნდა გაპრიალდეს, ეს კი რთულია და დამატებით ხარჯს მოითხოვს. საჭიროა დავაფასოთ ქალის შრომა და შეძლებისამებრ შევამსუბუქოთ იგი.

ჩვენში ხშირად კარგი ხარისხისას არ აკეთებენ სამზარეულო ავეჯს. და ეს არა იმიტომ, რომ არ ვიცოდეთ უკეთ კეთება, არამედ იმიტომ, რომ არ ვიჩენთ მომთხოვნელობას ხარისხისადმი: ვხმარობთ ნედლ ხე-ტყის მასალას, ცუდად ვღებავთ. ამ ნაკლოვანებებს ბოლო უნდა მოეღოს. აგრეთვე საჭიროა უფრო ფართოდ განვითარდეს კარგი ავეჯის წარმოება სკოლებისათვის, საავადმყოფოებისათვის, ბინებისათვის.

შენობათა გარე კედლების მოსაპირკეთებლად საუკეთესო მასალაა კერამიკა. კერამიკული მოპირკეთება ხანგრძლივია, ლამაზია და ექსპლოატაციის დროს ფერს არ იცვლის. აქ თათბირზე გამოვიდა ნახევრადმშრალი წნეხვის წნეხის კონსტრუქტორი ამხ. მელია. მან ილაპარაკა წნეხის მუშაობაზე, რომელიც უკვე იძლევა სხვადასხვა ზომისა და ფერის იაფ კერამიკულ ნაწარმს. საჭიროა, რომ არქიტექტორებმა გაიცნონ ეს მასალა და ამხ. მელიასთან ერთად იმუშაონ კერამიკული მოსაპირკეთებელი მასალის ახალი ტიპების შექმნაზე.

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები იწვევენ იმის საჭიროებას, რომ გაძლიერდეს მომთხოვნელობა სამშენი მასალების მრეწველობის სამინისტროსადმი, იმ საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც სამშენ მასალას ამზადებენ. კარგი ხარისხის მასალები შექმნიან მშენებლობის გაიაფებისა და ხარისხის გაუმჯობესების პირობებს.

სამშენებლო სამუშაოთა დაბალ ხარისხს ბევრ შემთხვევაში ხელს უწყობს ის, რომ ქალაქებში ქმედითს კონტროლს არ უწევენ მშენებლობას. ამასთან დაკავშირებით უნდა დაისვას საკითხი სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამის გამო გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებას. ამხანაგების წინადადება შემოიტანეს, რომ სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის მუშაკებს უფლება მივცეთ შეაჩერონ მშენებლობა, მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ცუდ მშენებლობაში, გავადიდოთ პასუხისმგებლობა სამუშაოთა ხარისხისათვის და სხვ. საჭიროა, როგორც ჩანს, შევისწავლოთ ეს წინადადებანი და გავითვალისწინოთ ცუდ მშენებლებზე ზეგავლენის სხვადასხვა ღონისძიებანი. საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი და მომთხოვნელობა მშენებლების მიმართ, რათა ისინი ამიერიდან კეთილხარისხოვნად და კარგად აშენებდნენ. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას გავაკეთებთ.

ყველა სამშენებლო სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება — სამრეწველო, საბინაო თუ სხვა რომელიმე მშენებლობაში იქნება ეს, — დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის უნდა ზრუნავდნენ როგორც თვით მშენებლები, — დაწყებული სამინისტროების ხელმძღვანელებით და გათავებული თვითეული მუშით, — ისე აგრეთვე ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია. ასეთი მუდმივი და მასობრივი კონტროლის დროს მშენებლობის ხარისხს ავიყვანთ ჩვენი ხალხის მაღალ მოთხოვნათა დონემდე.

## მშენებლობის დაგეგმვისა და ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი

თათბირზე ბევრი გამოსული ლაპარაკობდა მშენებლობის დაგეგმვის სერიოზულ ნაკლოვანებებზე, აღნიშნავდა სახსრების დაქსაქსვას მრავალ ობიექტზე, სამშენებლო სამუშაოთა ვადების გაჭიანურებას და სამშენი მასალებით არადამაკმაყოფილებელ უზრუნველყოფას, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას.

დიდ ზიანს აყენებს საქმეს სახსრების დაქსაქსვა მრავალ ობიექტზე. მინდა დავასახელო ზოგიერთი „ჭაღარა" მშენებლობა იმათ გარდა, რომლებიც თათბირზე უკვე დასახელეს. გზათა სამინისტრო 1940 წლიდან აშენებს ასკიზ-აბაზის რკინიგზის ხაზს. ამ მშენებლობის ღირებულებაა 74 მილიონი მანეთი. 13 წლის განმავლობაში დაიხარჯა მთელი სახსრების 64 პროცენტი. 1955 წლისათვის დაგეგმილია 5 მილიონი მანეთი. ასეთი დაგეგმვისას ამ გზის მშენებლობა 19 წელს გაგრძელდება.

სამდინარო ფლოტის სამინისტრო 1949 წლიდან აშენებს გემთსაშენს იაროსლავლის ოლქში. მშენებლობის ღირებულებაა 50 მილიონამდე მანეთი, 5 წლის განმავლობაში დაიხარჯა 10 მილიონამდე მანეთი. 1955 წლისათვის ამ მშენებლობისათვის დაგეგმილია 3 მილიონი მანეთი. ასეთი ტემპით მშენებლობა საერთოდ თითქმის 20 წელს გაგრძელდება. განა შეიძლება ასე ნელა ვაშენოთ და უყაიროთ ვხარჯოთ ფული? საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ პრაქტიკას, ამხანაგებო!

თუ ეს მშენებლობანი გვჭირდება, მოდით და უფრო მოკლე ვადაში დავამთავროთ ისინი, ნუ გავაჭიანურებთ მშენებლობას ათეულ წლობით.

ნება მიბოძეთ წავიკითხოთ წერილი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მშენებლობის პროცესში მყოფი ელნათურის ქარხნის ხელმძღვანელების ამხ. სკრიპკინისა და ნესტეროვისაგან და № 13 სამშენებლო ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსის ამხ. ბლუმისაგან. აი რას გვწერენ ისინი:

„№ 13 სამშენებლო ტრესტი მთელი რიგი წლების მანძილზე ასრულებს სამუშაოებს 10 დიდ მშენებლობაზე. თვითეული მშენებლობის ღირებულება შეადგენს ათეულ მილიონობით მანეთს. ყოველწლიურად, 1954 წელსაც, თვითეულ მშენებლობაზე გეგმავენ მშენებლობის 11-დან 40-მდე ობიექტს. მუშაობას ასრულებენ ერთსა და იმავე დროს ასზე მეტ ობიექტზე. ტრესტში სულ 900 მუშაა. თვითეულ ობიექტზე მოდის საშუალოდ 10-15 კაცი. ზოგიერთი ობიექტი წარმოადგენს დიდ საწარმოო კორპუსებს, საქვაბეებს და საცხოვრებელ სახლებს.

ასეთი დაქსაქსულობის მიზეზი ის არის, რომ ყველა დამკვეთ სამინისტროს წლიურ გეგმაში შეაქვს რაც შეიძლება მეტი ობიექტი და სახსრები ისე, რომ ანგარიშს არ უწევს სამშენებლო ორგანიზაციების შესაძლებლობას.

ქარხნები, რომლებსაც დაფინანსებით უზრუნველყოფილი დამტკიცებული სატიტულო სიები აქვთ, მოითხოვენ სამშენებლო სამუშაოების წარმოებას ყველა ობიექტზე. ამ მოთხოვნებს სამინისტროები ადასტურებენ დეპეშებით და განკარგულებებით. ამიტომ სამშენებლო ორგანიზაცია იძულებულია მიმართოს მანევრებს, ერთსა და იმავე დროს აწარმოოს მუშაობა ყველა ობიექტზე, დააჩქაროს სამუშაოები რიგრიგად ხან ერთ, ხან მეორე ქარხანაში. ამის გამო არ ხდება გეგმაში შეტანილი ობიექტების უმრავლესობის საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც აყოვნებს ქარხნის ამუშავებას.

მრავალ ობიექტზე ერთდროულად სამუშაოთა ერთსა და იმავე დროს შესრულება სიძნელეებს ქმნის, ამიტომ იმ ქარხნების დიდი ნაწილი, რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ 1951 წელს დაიწყო და რომელთა აშენება ორ წელიწადში შეიძლებოდა, 5-7 წლის განმავლობაში შენდება. სახსრები, რომლებიც მშენებლობაზე იხარჯება, მკვდარი კაპიტალია. სახსრების მნიშვნელოვანი გაყინვა ხდება იმ მოწყობილობის მარაგის შექმნით, რომელიც დამკვეთის საწყობებშია და რომელსაც წლების განმავლობაში არ ამონტაჟებენ იმის გამო, რომ დროზე არ ხდება საწარმოო ფართობების ჩაბარება. მასალებით მომარაგების მხრივ დაძაბული მდგომარეობა აუარესებს მუშებისა და მექანიზმების გამოყენების პირობებს. სამუშაოთა ხარისხი უარესდება.

საჭიროა შეწყდეს ერთსა და იმავე დროს მთელი რიგი მსხვილი ქარხნების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დაგეგმვის პრაქტიკა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოვალეა სამშენებლო სამუშაოთა პროგრამა გეგმიანად განაწილოს დამკვეთ სამინისტროებსა და მოიჯარე სამინისტროებს შორის, ამასთან იხელმძღვანელოს გამოყოფილი სახსრების კონცენტრაციის პრინციპით და არა მშენებლობებზე მათი დაქსაქსვის პრინციპით".

ამ წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წერილის ავტორთა დასკვნები სავსებით სწორია. ნაკლოვანებები, რომელთა შესახებ ლაპარაკია წერილში, არის მრავალ ქალაქსა და მრავალ სამინისტროში. საჭიროა შეწყდეს მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ასეთი დაქსაქსვა.

როგორ უნდა ვიბრძოლოთ ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ? ბრძოლა სახსრების დაქსაქსვის წინააღმდეგ უნდა აწარმოონ უწინარეს ყოვლისა მინისტრებმა და ყველა უწყების ხელმძღვანელებმა. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა. იქნებ საჭიროა, შტატების გაუდიდებლად, მოვაწყოთ საინსპექტორო მეთვალყურეობა, დავავალებთ რა ამ მეთვალყურეობას ისეთ მუშაკებს, რომლებიც მარტო ცნობებს კი არ შეაგროვებენ, არამედ შეამოწმებენ, თუ როგორ ხდება მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენება, სწორად დგება თუ არა სატიტულო სიები, ხომ არ ირღვევა სახელმწიფოს ინტერესები.

უმთავრესი ის არის, რომ მტკიცედ დავიცვათ წესი: უპროექტოდ, უხარჯთაღრიცხვოდ, უმუშანახაზებოდ არ დავიწყოთ მშენებლობა. (ტაში). ახლა კი რა ხდება პრაქტიკაში? როგორც კი მიიღებენ გადაწყვეტილებას მშენებლობის შესახებ, უკვე მოდის პატაკი: დავიწყე მშენებლობა. სინამდვილეში კი პროექტიც არ არის. ცნობილია, რომ მშენებლობის დაწყებისათვის კარგად უნდა მომზადდეს მოედანი, გაყვანილ იქნას გზები, უზრუნველყოფილ იქნას წყლის, ენერგიის მიწოდება, უნდა გვქონდეს სრული პროექტი. ვინ უნდა ადევნოს თვალყური ამ წესის დაცვას? სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა. მაგრამ მარტო მისთვის ეს ძნელია. ეს უნდა გააკეთონ აგრეთვე დამკვეთმა მინისტრებმა და მშენებელმა მინისტრებმა. ვგეგმავთ რა მშენებლობას, საჭიროა გავითვალისწინოთ სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამშენებლო მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრე, შესაძლებლობანი და მოთხოვნილებანი. კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრები უნდა გამოვყოთ მხოლოდ მაშინ, როცა პროექტი არსებობს. სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა გააუმჯობესონ მშენებლობის დაგეგმვა.

ზოგჯერ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც საგეგმო და მომმარაგებელ ორგანიზაციებში მუშაობენ, ავიწყდებათ, რომ მათ განკარგულებაში ამჟამად სულ მცირე უზუსტობაც კი სახელმწიფოს შეიძლება მრავალ მილიონ მანეთად დაუჯდეს.

ჩვენ ბევრს ვკარგავთ იმით, რომ მშენებლობები მუდამ ვერ იღებენ საჭირო ასორტიმენტის ლითონსა და სხვა მასალებს. მოვიყვან ორ მაგალითს, მშენებლებს კი შეუძლიათ უამრავი ასეთი მაგალითი მოიყვანონ. მშენებლებს რკინაბეტონისათვის სჭირდებათ 5,5 მილიმეტრი დიამეტრის მავთული. იგი არ არის. მათ ეუბნებიან — წაიღეთ ერთი მილიმეტრით მსხვილი — 6,5 მილიმეტრი დიამეტრისა. თითქოს დიდი განსხვავება არ არის — სულ რაღაც ერთი მილიმეტრი, განა ღირს ამისათვის ჩხუბის ატეხა. მაგრამ მარტო მშენებლობის სამინისტროს მშენებლობათა ნაწილისათვის 1953 წელს ამ მილიმეტრმა გამოიწვია 4.800 ტონა ლითონის გადახარჯვა. ეს უკვე ციფრია, რომლისთვისაც იბრძვის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, და სწორადაც იქცევა. აი, ამხანაგებო, რა გვიჯდება ეს მილიმეტრი?

ნავთსადენთა მშენებლობის მთავარი სამმართველოს მშენებლობებზე პროექტებით გათვალისწინებულია თხელკედლიანი ნავთსადენი მილების გამოყენება. ნამდვილად კი მრეწველობა სქელკედლიან მილებს აწვდიდა მშენებლობას. ამიტომ 1953 წელს მარტო დასახელებულ სამმართველოში ლითონის გადახარჯვამ 3.400 ტონა შეადგინა, რამაც გამოიწვია სამუშაოთა ღირებულების გაძვირება 3 მილიონ 260 ათასი მანეთით.

ცხადია, რომ ლითონისა და სხვა სამშენი მასალის ასეთი მფლანგველობა არ უნდა ხდებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ეკონომიკის საკითხებზე სუსტად მუშაობენ სამინისტროები და უწყებები, მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და ფინანსთა სამინისტრო.

ამხ. იონსამა და სხვა ამხანაგებმა, რომლებიც ამ თათბირზე გამოვიდნენ, თქვეს, რომ ახლა მშენებლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ხარჯთაღრიცხვას თავისი მნიშვნელობა დაეკარგა. და ამიტომ პრაქტიკულად გამოდის, რომ რაც უფრო დიდია შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, მით უკეთესია გეგმის შესრულების მაჩვენებლები, მეტია ხელფასისა და ზედნადები ხარჯების ფონდები. შემთხვევითი როდია, რომ მშენებლები ცდილობენ უმთავრესად ძვირად ღირებული სამუშაოები შეასრულონ.

უკანასკნელი წლების მანძილზე მშენებლობის ტექნიკა, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია, შრომის ორგანიზაცია, მშენებლობის მასალები და კონსტრუქციები მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ როცა დაფინანსების წესი, მშენებლობის ნორმები, სხვადასხვა წესი და ინსტრუქცია, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ორგანიზაციების საიჯარო საქმიანობასთან, ისეთივე დარჩა, როგორიც 1936 და 1938 წლებში იყო. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს სამშენებლო საქმის განვითარებაზე. ჩანს, საჭიროა, როგორც ეს მშენებელთა 1935 წლის სრულიად საკავშირო თათბირის შემდეგ მოხდა, შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ღონისძიებანი მშენებლობის დაფინანსების მოსაწესრიგებლად.

მშენებლობის დაგეგმვისა და ეკონომიკის საკითხებს მუდამ და ღრმად უნდა ვსწავლობდეთ. საჭიროა, რომ თვითონ მშენებლები ყოველდღიურად აკეთებდნენ მშენებლობის ეკონომიურ ანალიზს, შეჰქონდეთ კონკრეტული წინადადებანი დაგეგმვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამასთანავე მუშაკთა ჯგუფს, შესაძლოა სახელმწიფო ბანკის მუშაკთა ჯგუფს (დარბაზში გამოცოცხლება), რომელიც დამოკიდებული არ იქნება სამინისტროებსა და უწყებებზე, უნდა დავავალოთ სისტემატურად იმუშაონ მშენებლობის ეკონომიკის საკითხებზე. რატომღაც ზოგ თქვენგანს ბანკი არ მოსწონს. ამხანაგებო. ჩანს, ბანკი ზოგს იმიტომ არ მოსწონს, რომ ბანკი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც ფულს ანგარიშობს, ზოგს კი სურს ფული უანგარიშოდ მიიღოს. მაგრამ ეს არ მოხდება. (ტაში).

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

## გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევქმნათ კვალიფიციურ მშენებელთა კადრები

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის საკითხს. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა რომ უზრუნველვყოთ, უწინარეს ყოვლისა სწორად უნდა მოვაწყოთ მუშაობა მშენებლობებზე, უკეთ გამოვიყენოთ მუშახელი და მექანიზმები, მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, შევქმნათ კვალიფიციურ მშენებელთა მყარი კადრები. შრომის ნაყოფიერების გადიდება წინასწარ განსაზღვრავს მშენებელთა ხელფასის ზრდასაც, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

თათბირზე გამოსულმა ცალკეულმა ამხანაგებმა დააყენეს მშენებელთა ხელფასის გადიდების საკითხი. ამასვე ამბობს ბარათი, რომელიც მე მივიღე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ერთგვარი განმარტება. ცნობილია, რომ ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს ვუკავშირებდით ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას. შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას. ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ ამ პირობით მუდამ ექნება სოციალისტური დაგროვება, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ გავაფართოოთ წარმოება და ამ საფუძველზე გავაუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ეს ერთადერთი სწორი გზაა, რადგან მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიღწევა შეგვიძლია მხოლოდ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში უნდა დავიცვათ სწორი თანაფარდობა არსებულ საქონელსა და ბრუნვაში და მოსახლეობის ხელში არსებულ ფულს შორის. ვალუტა მხოლოდ მაშინ იქნება მყარი, სიმტკიცე და ფასი ექნება ჩვენს მანეთს. მხოლოდ მაშინ თანმიმდევრულად გაიზრდება რეალური ხელფასიც. სხვანაირად საქმე არ წავა.

მაშასადამე, მშრომელთა რეალური ხელფასის გასადიდებლად საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, თვითეული მუშის გამომუშავების ზრდა.

როგორ არის ჩვენში შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმე?

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა დაახლოებით 50 პროცენტით და მშენებლობაში — 55 პროცენტით, ამასთან რეალური ხელფასი უნდა გაიზარდოს სულ ცოტა 35 პროცენტით.

ოთხი წლის მანძილზე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 33 პროცენტით, მშენებლობაში კი — 32 პროცენტით. ამ პერიოდში რეალური ხელფასი გადიდდა 37 პროცენტით, ესე იგი უკვე გადაჭარბებულია მთელი ხუთწლედისათვის გათვალისწინებული დონე. მაშასადამე, ახლა ხელფასის ფონდის დიდი გადახარჯვა გვაქვს. ეს მონაცემები მოწმობენ, რომ მრეწველობასა და მშენებლობაში სერიოზული ნაკლოვანებებია ტექნიკის გამოყენებასა და შრომის ორგანიზაციაში. არ ასრულებს რა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებს, უწყებათა, საწარმოთა, და სამშენებლო ორგანიზაციათა ბევრი ხელმძღვანელი ადგას მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის გადიდების გზას, რაც იწვევს ხელფასის ფონდების გადახარჯვას.

კარგად არის ცნობილი, რომ მშენებლობაში უდიდესი რეზერვებია შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, მაშასადამე, მუშათა ხელფასის გასადიდებლადაც. ეს არის სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია, იმ მძლავრი ტექნიკის სწორი გამოყენება, რომლითაც შეიარაღებული არიან ჩვენი მშენებლობანი; ეს არის მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლა; ეს არის მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების უკეთ გამოყენება, საწარმოო დისციპლინის განმტკიცება.

იმას, თუ რა დიდი შესაძლებლობანი არსებობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხელფასის ზრდისათვის, დამაჯერებლად მოწმობს ბევრი მაგალითი. აი ერთ-ერთი მათგანი. შესადარებლად ავიღებ ორ სკოლას იმ მრავალ სასკოლო შენობათა შორის, რომლებიც მოსკოვში აშენდა 1954 წელს, — ერთს ტოკმაკოვის შესახვევში, რომელიც აგებულია აგურით, და მეორეს კუტუზოვის სლობოდაში — დიდი ბლოკებით. დახედეთ, რა განსხვავებაა მშენებლობის შრომატევადობაში. აგურის კედლების აყვანაზე, ლავგარდანების, გადახურვების, კიბეებისა და ტიხრების მოწყობაზე დაიხარჯა 7.360 კაცდღე, ხოლო ამავე სამუშაოებზე დიდბლოკებიან შენობაში — 1.780 კაცდღე, ანუ აგურით ნაშენ სკოლაზე დახარჯული კაცდღეების რაოდენობის მხოლოდ 24 პროცენტი. მუშის საშუალო გამომუშავება იმავე სამუშაოებზე აგურით ნაგებ სკოლაში შეადგენდა 268 მანეთს კაცდღეზე, ხოლო დიდი ბლოკებით მშენებლობაზე — 1.432 მანეთს, ესე იგი 5,3-ჯერ მეტს. აგურისკედლებიან სკოლაში ყველა სამუშაოთა გათვალისწინებით გამომუშავება კაცდღეზე შეადგენდა 142 მანეთს, ხოლო მეორე სკოლაში — 261 მანეთს, ე. ი. 1,8-ჯერ მეტს. კოშკურა ამწეების გამოყენება: პირველი სკოლის მშენებლობაზე დახარჯული იყო 314 მანქანათცვლა, მეორეზე — 164 მანქანათცვლა, ანუ 52 პროცენტი. აი სად არის, ამხანაგებო, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ხელფასის გადიდების ჩვენი რეზერვები!

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მუშების სპეციალიზაცია, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ეს საკითხი განუყრელად დაკავშირებულია მუშათა მყარი კადრების შექმნის ამოცანასთან. მშენებლობებზე შეუწყნარებლად დიდია მუშახელის დენადობა. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ მშენებლობაზე სათანადოდ არ არის ორგანიზებული ახალი მუშების სწავლება. მიდის მშენებლობაზე კოლმეურნე, რაკი არავითარი კვალიფიკაცია არა აქვს, მას ჩარიცხავენ, როგორც ცნობილია, დამხმარე მუშად. და აი მუშაობს ადამიანი დამხმარე მუშად. მისი გამომუშავება ცუდია, სპეციალობა არა აქვს და ხელფასი დიდი არ არის. იგი [illegible]ხედავს, აქ კიდევ მასთან მიდიან ამხანაგები და ეუბნებიან: გაიგონე, მიატოვე ეს სამუშაო და შედი ქარხანაში, იქ ნახევარი წლის შემდეგ გექნება კვალიფიკაცია, მიიღებ თანრიგს, ხოლო შესაძლებელია ბინასაც. იგი ახედდახედავს და წავა, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ ქარხანაში მიიღებს კვალიფიკაციას და ერთიორად-ერთისამად მეტი გამომუშავება აქვს, ვიდრე სამშენებლო მოედანზე. მართალია? (**ხმები ადგილებიდან: სწორია**). მშენებლობებიდან არ მიდიან კვალიფიციური მუშები — მექსკავატორეები, შოფრები, მებეტონეები, მემონტაჟეები, კალატოზები. მათ კვალიფიკაცია აქვთ და თავის სპეციალობაზე მუშაობენ. გამომუშავების ნორმებს ასრულებენ და არც ცუდი ხელფასი აქვთ.

თვითეულ მშენებელს რომ დავეხმაროთ კარგად დაეუფლოს ამა თუ იმ პროფესიას, დავეხმაროთ, რომ გახდეს კვალიფიციური მუშა, რომელსაც უნარი აქვს მაღალნაყოფიერად გამოიყენოს ტექნიკა, მაშინ მას შეუყვარდებოდა თავისი საქმე და სიამაყით განაცხადებდა: „მე მშენებელი ვარ!“ სამწუხაროდ, ჩვენში მშენებლობებზე ჯერ კიდევ ცოტას ზრუნავენ ახალი მუშებისათვის. საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ არის და მუშისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე სამუშაოზე მოწყობაში. მშენებლობაზე მუშების შესანარჩუნებლად საჭიროა ვასწავლოთ მათ, დავეხმაროთ დაეუფლონ რაიმე პროფესიას.

ამასთან ერთად ჩვენ, ამხანაგებო, უდავოდ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხელფასის მოწესრიგებას. განა ეს ნორმალურია, რომ თითქმის ყოველ უწყებაში მოქმედებს მრავალი სატარიფო ცხრილი. ამაზე სამართლიანად ილაპარაკეს გამოსულებმა. მხარდაჭერის ღირსია წინადადებანი სხვადასხვა უწყებაში მომუშავე მშენებელთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ. უნდა აღმოიფხვრას ისეთი არანორმალური მდგომარეობა, როცა ერთსა და იმავე ქალაქში ერთი და იმავე სპეციალობისა და კვალიფიკაციის მშენებლები სხვადასხვა ხელფასს იღებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობენ სხვადასხვა უწყების მშენებლობებზე, რომლებსაც სხვადასხვა შეფასება აქვთ. ეს ალბათ კიდევ იმიტომ ხდება, რომ ბევრი სამეურნეო მუშაკი არღვევს ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით შრომის ანაზღაურების წინათ დადგენილ სისტემას, ეგრეთწოდებულ სასარტყელო სისტემას. უნდა ითქვას, რომ არც პროფკავშირები იჩენენ ამ საქმეში სათანადო აქტივობას.

სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო სწორად გამოიყენონ თავიანთი მატერიალური შესაძლებლობანი მშენებლობებზე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითეული მუშის გამომუშავების გადიდების სტიმულირებისათვის. ეს უზრუნველყოფს ჩვენი მშენებლობის უფრო მძლავრ აღმავლობას, რეალური ხელფასის ზრდას, მშენებელთა ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას, მათი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მშენებელთა მყარი კვალიფიციური კადრების შექმნის პრობლემა წარმატებით არ გადაიჭრება, თუ არ მოვამზადეთ საშუალო და უმაღლესი რგოლის სპეციალისტები. სპეციალისტების მოსამზადებლად ჩვენ ახლა შეუდარებლად უფრო ხელსაყრელი პირობები გვაქვს, ვიდრე წინათ. მნიშვნელოვნად ამაღლდა მშენებელ მუშათა მთელი მასის ზოგადსაგანმანათლებლო დონე. მუშათა წრიდან წინაურდებიან შესანიშნავ ორგანიზატორთა კადრები, იზრდებიან სპეციალისტები, რომლებიც ეუფლებიან მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს. ბევრი მშენებლობა, რომლებიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს მშენებელ სპეციალისტთა მომზადების კარგი სკოლა.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც, ათწლედს რომ დაამთავრებს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნაცვლად წარმოებაში მიდის. ეს ნორმალური და სრულიად ბუნებრივია. უნდა მოვაწყოთ ახალგაზრდობის კურსები, მივცეთ მას კვალიფიკაცია, მოვამზადოთ მისგან საშუალო და, მე ვიტყოდი, თვით უმაღლესი რგოლის სპეციალისტთა კადრები.

ჩვენ უშუალოდ უნდა მოვკიდოთ ხელი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესებას. უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო საშუალო, არამედ აგრეთვე უმაღლესი სპეციალური დაუსწრებელი და საღამოს სასწავლებლების მუშაობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს მთელ სახალხო მეურნეობას. უმაღლესი განათლების სამინისტრო რომ ამჟამად გააკეთებდეს ანალიზს, რამდენ სტუდენტს იღებენ უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსზე და რამდენი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებლებს, მაშინ იგი დაინახავდა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განთესვა უმაღლესი სკოლიდან. გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებელთა ყველა კურსდამთავრებული როდი მუშაობს თავის სპეციალობაზე. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის მარგი მოქმედების კოეფიციენტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მაღალი როდია.

მეორე მხრივ, დიდ ქარხნებთან არსებული უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები ან მათი განყოფილებანი იძლევიან აგრეთვე სპეციალისტთა მაღალკვალიფიციურ კადრებს, მაგრამ ისინი მომზადებული არიან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ და მუშაობას განაგრძობენ თავიანთ საწარმოშივე. მაგალითად, სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანას თავისი ინსტიტუტი აქვს. ამ ინსტიტუტში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ბევრი მუშა სწავლობს. აქ ხდება მუშათა კოლექტივიდან სტუდენტთა კარგი შერჩევა. ქარხანაში მოვიდა მუშა, მან შეიყვარა თავისი საწარმო და პროფესია. რაკი საშუალო განათლება აქვს, იგი ხალისით შედის საღამოს კურსებზე, სასწავლებელში ან საღამოს ინსტიტუტში სასწავლად, ამთავრებს მათ, იღებს ტექნიკოსის ან ინჟინრის წოდებას და კვლავ მუშაობს ქარხანაში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სწავლა დაიწყო რიგით მუშად ან ოსტატად, დაამთავრა იგი და გახდა ოსტატი, ტექნიკოსი ან ინჟინერი, ხოლო ზოგჯერ საამქროს უფროსიც.

ჩვენ გვგონია, რომ არსებულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების საქმის გაუმჯობესებასთან ერთად უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ სპეციალისტთა მომზადება იმ პრაქტიკოსთა რიცხვიდან, რომლებიც მუშაობენ მშენებლობებზე, ასრულებენ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და უბნებისა და მშენებლობათა ხელმძღვანელების მოვალეობას. ამ კატეგორიის მუშაკების მომზადება უნდა მოვაწყოთ როგორც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ისე მოწყვეტით. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სპეციალისტების მომზადება შეიძლება უფრო ხანგრძლივი იქნეს, მაგრამ ამ გზას აქვს თავისი უპირატესობაც, რადგან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებული უკეთ იცნობს საქმეს, აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ბევრი ინჟინერი, რომელსაც შეძენილი აქვს მეცნიერებისა და წარმოების ცოდნა და გამობრძმედილია გამოცდილებით, ჩააბარებს თუ არა უკანასკნელ ჩათვლას, თამამად შეძლებს მართოს საწარმო. (**ტაში**). სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს, როგორც წესი, კარგი ცოდნა აქვთ, მაგრამ მათ ესაჭიროებათ გარკვეული დრო იმისათვის, რომ შეისწავლონ წარმოება, შეიძინონ საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.

ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის, მისი ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ძირეულად გააუმჯობესონ მთელი მუშაობა მშენებელთა კადრებთან. მშენებლები ასრულებენ ჩვენი ქვეყნისათვის დიდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენი ვალია ზრუნვა და ყურადღება არ მოვაკლოთ მათ. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ და უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშენებელთა მზარდი მოთხოვნილებანი, გავაუმჯობესოთ მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, უკეთ მოვაწყოთ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი [illegible] მშენებლების [illegible] და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

## რამდენიმე შენიშვნა საგზაო და სასოფლო მშენებლობაზე

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო საგზაო და სასოფლო მშენებლობაზე. აქ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ გზებს ჩვენი ქვეყნისათვის მისი უდიდესი სივრცეებით.

ჩვენ უნდა განვავითაროთ ცემენტ-ბეტონის გზების მშენებლობა. ეს საუკეთესო გზებია. (**ტაში**). ასფალტის გზა ძლებს ათ წელიწადს, ცემენტ-ბეტონის გზა კი ას წელიწადს. ჩვენ უნდა ავიღოთ ორიენტაცია ცემენტის მრეწველობის განვითარებაზე, რათა ვაშენოთ ბეტონის გზები. როგორც იტყვიან, ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ, რომ იაფად ვაშენოთ. ძვირად, ესე იგი კეთილხარისხოვნად, კაპიტალურად ააშენებ — დაგავიწყდება, როდის ააშენე! (**ტაში**).

დიდი სამუშაოები უნდა შევასრულოთ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში საწარმოო შენობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, აგრეთვე მარცვალსაცავთა მშენებლობის დარგში. აქაც უნდა ვიაროთ ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენების და, შესაძლოა, ბლოკებით მშენებლობის გზით. მაგალითად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში შეგვიძლია ვაწარმოოთ ბლოკებით, აგრეთვე კარკასებით მშენებლობა. ამასთან საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები. ბლოკები შეიძლება დავამზადოთ ნიჟარაქვისა, კირქვისა, აგურისა და ბზისაგან. მთელი ადგილობრივი საშუალებები და მასალები უნდა გამოვიყენოთ მშენებლობისათვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლებ ინიციატივას იჩენენ ადგილობრივ საშენ მასალათა გამოყენებაში. სასოფლო მშენებლობისათვის ერთ-ერთი კარგი მასალაა ლელი. უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების მთელ რიგ რაიონებში უძველესი დროიდან აშენებენ ლელის სახლებს. ეს საუცხოო მასალაა: არ ლპება, კარგი თბოიზოლაციის თვისება აქვს. მაგრამ ლელს ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ. „სტრომიტის“ ტიპის ფილები კარკასიანი მშენებლობის კედლებისათვის, ტიხრებისა და გადახურვებისათვის უნდა დავამზადოთ ხის ბურბუშელისაგან, ჩალისა და ლელისაგან. საჭიროა დავამზადოთ ლელისა და ჩალის ფილები.

წელს გაზაფხულზე ჩემთან მოვიდა პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. განენკო და მთხოვა გაგვედიდებინა ხე-ტყის მასალის მიწოდება ოლქისათვის. ცნობილია, რომ ხე-ტყე იქ არ არის. აგრეთვე, ცნობილია, რომ ხე-ტყე ჩვენ გვჭირდება უფრო მნიშვნელოვანი მშენებლობებისათვის.

მაშინ მე ვუთხარი ამხ. განენკოს:

— თქვენს ოლქში შესანიშნავი ლელი იზრდება! ეს საშენი მასალა კი არა, ოქროა!

— დიახ, ლელი ჩვენ გვაქვს.

— მერე არ შეიძლება ლელისაგან აშენოთ თუნდაც ცხვრის ფარეხები? ლელზე უკეთეს მასალას ამ მიზნისათვის ხომ ვერ იპოვნით.

ამხ. განენკო დამეთანხმა. თუმცა ამ საუბრის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ მაინც და მაინც დიდი არაფერი გაკეთებულა.

ძალიან ბევრი ლელია ყაზახეთში — იგი შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყნის ლელნარის 70 პროცენტს. ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების რაიონებში მოგზაურობის დროს ჩვენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად განვიხილეთ ლელის გამოყენების საკითხი. ამხანაგებმა პონომარენკომ, ბრეჟნევმა, ტაიბეკოვმა და ყაზახეთის სხვა ხელმძღვანელებმა მონახეს სპეციალისტები, რომლებმაც იციან ლელის ფილების წარმოება, და შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობას ლელის გამოყენებით.

დიდძალი ლელია უზბეკეთში, თურქმენეთსა და უკრაინაში — დნესტრის ჭალაკებში, ბუგზე, დუნაიზე. ლელით შეგვიძლია ვაშენოთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი და სახლებიც კი, შეგვიძლია დავამზადოთ შესანიშნავი ნივთები, მაგრამ მას დღემდე ჯეროვნად არ იყენებენ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს!

სასოფლო მშენებლობაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სულ სხვადასხვა ადგილობრივი საშენი მასალა. სახლების კარკასებით მშენებლობისას ამოსავსებად შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა ადგილობრივი მასალა. მოსკოვში ხოხლოვსკის ხის დამმუშავებელ ქარხანაში არის ჩალისა და ბურბუშელისაგან ფილების დასამზადებელი მარტივი მოწყობილობა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ფილების ორმაგი კედლები კარგად იფარავს სიცივისაგან. საჭიროა მოვაგვაროთ ასეთი მოწყობილობის წარმოება და მოვაწყოთ ჩალისა და ბურბუშელის ფილების გამოშვება სასოფლო მშენებლობისათვის.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს საკოლმეურნეო სახლების მშენებლობას და სოფლების, ყიშლაყებისა და აულების კეთილმოწყობას. როცა ადამიანები ღარიბი იყვნენ, მათ საშუალება არა ჰქონდათ აეგოთ კარგი საცხოვრებელი სახლები, დაემშვენებინათ თავიანთი ცხოვრება. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. მოწინავე კოლმეურნეობებს თავიანთი მეურნეობის აღმავლობის შედეგად დიდი შემოსავალი აქვთ და კოლმეურნის შრომადღის ანაზღაურებაც დიდია. ამავე დროს ბევრი კოლმეურნის საცხოვრებელი სახლი ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

უნდა ვაშენოთ ისეთი საცხოვრებელი სახლები, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ კოლმეურნეთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. ამჟამად ახალი სახლების ასაგები სახსრები აქვს ბევრ კოლმეურნეობასა და კოლმეურნეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იყიდონ საჭირო საშენი მასალები, რადგან ეს მასალები საკმაო რაოდენობით არ მზადდება.

მოდით, ამხანაგებო, ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შევცვალოთ ასეთი მდგომარეობა. დაე კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, აშენონ რაც შეიძლება მეტი საწარმოო შენობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა და საცხოვრებელი სახლი და აშენონ რაც შეიძლება უკეთ. საჭიროა წავახალისოთ ადამიანები, რომ აშენონ, და დავეხმაროთ მათ ამ საქმეში. (**ტაში**). ხოლო სოფლად მშენებლობა წარმატებით რომ მიდიოდეს, საჭიროა მოვაგვაროთ საშენ მასალათა წარმოება სასოფლო მშენებლობისთვისაც.

ამ მიზნით რესპუბლიკურმა და საოლქო ორგანოებმა უნდა განავითარონ საშენი მასალების ადგილობრივი მრეწველობა. ეს ადგილობრივი მრეწველობა უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო აგურის წარმოებას, არამედ უმთავრესად ცემენტის წარმოებას. საჭიროა, რომ ცემენტის ქარხნებს აშენებდნენ როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური ორგანიზაციები. მაშინ ჩვენს ქვეყანას ექნება მეტი ცემენტი, რომელიც შეგვიძლია ვხარჯოთ სასოფლო მშენებლობის საჭიროებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისათვის. ბევრი ფიქრობს, რომ სახალხო მოხმარების საქონელია მხოლოდ ისეთი საგნები, როგორიც არის ჩექმები, კოსტიუმი, ქურქი და ბევრი სხვა საოჯახო ნივთი. მაგრამ განა საცხოვრებელი სახლების საშენი მასალები სახალხო მოხმარების საგნები არ არის? საცხოვრებელი სახლების საშენი მასალებიც სახალხო მოხმარების უაღრესად საჭირო საგნებია.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ცემენტის, შიფერის, კრამიტისა და სხვა საშენი მასალების წარმოება სოფელ რაიონებში გასაყიდად. ფართოდ უნდა მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობისა და ცოტასართულიანი სახლების ასაწყობი დეტალებისა და კონსტრუქციების დამზადება კოლმეურნეობებსა, დაბებსა და საგარეუბნო ზონებში მშენებლობისათვის, რათა მივყიდოთ ისინი მშრომელებს. ეს ხელსაყრელია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მოსახლეობისათვის.

გავადიდებთ რა საშენი მასალების წარმოებას და მივაწოდებთ მას სოფელს, ჩვენ მნიშვნელოვნად დავაჩქარებთ ჩვენი სოფლებისა და დაბების გარდაქმნას, რათა ისინი უფრო ლამაზი იყვნენ, თვალს ახარებდნენ და ამშვენებდნენ ადამიანის ცხოვრებას. (**ტაში**).

ბოლოს, უნდა ითქვას კინოთეატრების მშენებლობაზე. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ არა გვაქვს კინოთეატრები ქალაქებში და განსაკუთრებით სოფლად. საჭიროა ვაშენოთ მეტი კინოთეატრი, გამოვუშვათ მეტი სურათი და ამასთან კარგი ხარისხისა. ეს დიდი საქმეა, ხალხის კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანების სულიერი ზრდისათვის საჭირო საქმეა.

* * *

ამხანაგებო! წლითიწლობით იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, განუხრელად მაღლდება ხალხის კეთილდღეობა და კულტურა. ეს კომუნისტური პარტიის სწორი, ლენინური პოლიტიკის შედეგია. ყველა ჩვენი წარმატება მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ხალხის მონოლითურ დარაზმულობას, მის ერთგულებას კომუნიზმის დიადი საქმისადმი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვლილი 37 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან, როგორიც იყო იგი ცარიზმის დროს, გადაიქცა მოწინავე მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ჩვენი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებებმა ნამდვილად შეძრა მსოფლიო. ეს საბჭოთა წყობილების უდიდესი უპირატესობის შედეგია.

დიდმა ლენინმა შექმნა ჩვენი კომუნისტური პარტია, გამოაწრთო იგი რევოლუციურ ბრძოლებში და დარაზმა კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმისათვის. პარტიას კი გაჰყვა მთელი ხალხი. ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს ძლიერებას, და იმპერიალისტები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამას. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მიაღწია ამას. ეს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის იდეების განხორციელების შედეგია. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ვეყრდნობით რა ჩვენს მიღწევებს და ყოველი ღონისძიებით ვავითარებთ რა კვლავაც მძიმე ინდუსტრიას, ჩვენ დაუცხრომლად განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ვიბრძოლებთ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. კომუნისტური მშენებლობისათვის ამ დიდ შემოქმედებით მუშაობაში უდიდესი როლი ეკუთვნის მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიას.

ამხანაგებო! ჩვენს თათბირზე, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, შემოტანილი იყო ბევრი სწორი წინადადება. ყველა ეს წინადადება მეტად საინტერესო და მეტად ძვირფასია. ამ წინადადებებს, ჩვენს დადებით გამოცდილებას გაეცნობა საბჭოთა კავშირის ყველა დარგის ათასობით მშენებელი. თათბირმა ცხადყო, რომ ჩვენს მშენებლებს კარგად ესმით მათ წინაშე მდგომი ამოცანები, რომ მათ აქვთ მხურვალე სურვილი გააუმჯობესონ მუშაობა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის დარგში, რათა დაუცხრომლად განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერება, მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობანი კარგი ხარისხისა.

თუ ჩვენ განვაზოგადებთ მთელ დადებით გამოცდილებას, რომელზეც ლაპარაკი იყო თათბირზე, და ჯეროვნად მოვკიდებთ ხელს შემოტანილ წინადადებათა განხორციელებას, მოწინავე ხერხებისა და მეთოდების დანერგვას, თუ ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მივიღებთ სახსრებისა და მასალების უდიდეს ეკონომიას, მივაღწევთ თანხების დიდ ბრუნვადობას, დავაჩქარებთ მშენებლობის ტემპს და გავაუმჯობესებთ მის ხარისხს.

საჭიროა მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. სოკოლოვს, ყველა სამინისტროს, და განსაკუთრებით სამშენებლო სამინისტროს, მინისტრებს დაევალოთ შეისწავლონ თათბირის მასალები და ყველა სიტყვა. საჭიროა აგრეთვე ვთხოვოთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც ვერ შეძლეს თათბირზე გამოსვლა, რომ მათ მოგვცენ თავიანთი სიტყვების თეზისები, რომლებიც აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ. საჭიროა განვაზოგადოთ თათბირის ყველა მასალა და შევიმუშაოთ კონკრეტული წინადადებანი. ეს წინადადებანი უნდა გავყოთ სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი — წინადადებანი, რომლებიც საჭიროა განვახორციელოთ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, მეორე ჯგუფი — წინადადებანი, რომლებიც შეუძლიათ განახორციელონ და უნდა განახორციელონ საკავშირო სამინისტროებმა, მესამე ჯგუფი — წინადადებანი, რომლებიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებს. საჭიროა ჯეროვანი კონტროლი დავაწესოთ ამ წინადადებათა განხორციელებისადმი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მშენებლობის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების განზოგადებასა და გავრცელებას. (**ტაში**).

კარგი იქნებოდა მოგვეწყო მშენებელთა ასეთივე თათბირები ადგილებზე და ცალკეულ სამინისტროებში. ამ თათბირებზე უნდა განვაზოგადოთ მოწინავე გამოცდილება, განსაკუთრებით ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის გამოცდილება, და გავაკრიტიკოთ, როგორც იტყვიან, „ზუმფარით გავხეხოთ“ ყველა ჩვენი ნაკლი, არ მოვერიდოთ იმას, რომ შევეხოთ მეგობრის მტკივნეულ ადგილს. ამით შეგვიძლია გამოვავლინოთ ახალი უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობანი, გამოვიყენოთ ისინი ჩვენი საერთო საქმისათვის.

ვამთავრებ რა, ამხანაგებო, ჩემს გამოსვლას, გამოვთქვამ რწმენას, რომ მშენებლები, არქიტექტორები, კონსტრუქტორები, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკები ღირსეულად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც დააკისრეს მათ პარტიამ და მთავრობამ, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ ჩვენი მშენებლობის დონეს, ტემპს და გააუმჯობესებენ მის ხარისხს, უფრო სწრაფად აამუშავებენ ქარხნებს, შახტებს, ელექტროსადგურებსა და ფაბრიკებს, უფრო იაფად, კარგად და ლამაზად ააშენებენ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს. ნახვამდის, მშენებელთა შემდეგ თათბირზე შეხვედრამდე. გისურვებთ ახალ წარმატებებს, ამხანაგებო! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან**).

რედაქტორი ნ. ჟაში

უე 15848

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.